1927 წ. აპრილი.

№ 16.

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante

Édition mensuelle

1927. — AVRIL № 16

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## კათოლიკოსი მოქალაქე.

ჩვენ ამოვიკითხეთ მტრის გაზეთში წვრილი ასოებით დაწერილი ცნობა საქართველოს კათოლიკოს ამბროსის სამუდამო განსვენების შესახებ. სწორეთ უკეთ არ შეეძლო მტერს ეგრძნობებია ჩვენთვის, თუ ვინ დავკარგეთ, ვის გლოვობს ქართველი ერი. სანამ საშუალება მოგვეცემოდეს დაწვრილებით დავუსურათხატოთ მკითხველს ამ დიდი ქართველის პიროვნება, ჩვენ მხოლოდ მივუთითებთ, უკვე აწყობილ გაზეთის თავში, მის მრავალტანჯულ ცხოვრების ზოგიერთ მომენტებზე. ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია, კათოლიკოზი ამბროსი იყო შვილი ცნობილ ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვრისა, იმ ილორის, რომელიც ამართულია აბხაზეთ-სამურზაყანოს მიჯნაზედ და უხსოვარ დროდან იზიდავდა მლოცველთ საქართველოს ყველა კუთხიდან, თვით გამაჰმადიანებულ აჭარა-ლაზისტანიდანაც. ადრე დაქვრივებული მღვდელი ბესარიონი შედის სასულიერო აკადემიაში და სამეცნიერო ხარისხის მიღების შემდეგ ეკვეცება ბერად. 1905 წელის რევოლიუციის დროს მღვდელმონაზონი ამბროსი ჩამოდის სამშობლოში და იწყებს ბრძოლას ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიისათვის. რეაქციის ხანაში ის დასჯილ იქნა, ეპისკოპოზ კირიონთან ერთათ, და მიჯაჭული რუსეთის ერთ-ერთ მონასტერზე. 1917 წ. რევოლიუციის დასაწყისში ის ისევ იწყვეტს ჯაჭვს და პირველია მათ შორის, ვინც რევოლიუციურათ აღადგინა ავტოკეფალია საქართველოში. უკვე არქიმანდრიტი ის აკურთხეს სხუმის მიტროპოლიტად და მისი პირველი ნაბიჯია აბხაზეთის სამღვდელოების შემოყვანა საქართველოს საპატრიარქოში. კათოლიკოზობის დროს, ყველას თვალწინ გვიდგას მისი სიტყვანი და საქმენი. უწმინდეს მამის ამბროსის მიმართვა გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი დიდი ისტორიული ფაქტია. მტერმა ღირსეულათ დააფასა იგი და ავტორს ეკლის გვირგვინი თავზედ დაადგა. კათოლიკოზი ამბროსი არ იყო ჩვეულებრივი ბერი. მისმა ახლო მეგობრებმა კარგათ იცოდენ, მაგ., რომ, როცა ის შეეკვეცა, მას, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური მიზანი ჰქონდა დასახული: ქართველ ერის განთავისუფლება, საქართველოს [illegible] ეწირა ის. მოვა დრო, როცა თავისუფალი საქართველო მიაბარებს თავის პანთეონს საუკეთესო მამულიშვილს და დიდ მოქალაქეს, მისთვის თავდადებულს.

## უკანასკნელი კოზირი.

რუსეთ-საფრანგეთის კონფერენცია განახლდა და მით, შეიძლება ითქვას, მოსკოვი გადადის თავის უკანასკნელ კოზირს ევროპაში. თუ საზოგადოთ მიღებულია, რომ მოსკოვი ყოველ მოლაპარაკებაში, რა რიგ წმინდა ფინანსიური არ იყოს იგი, ხელმძღვანელობს, უწინარეს ყოვლისა, ტაქტიკური მოსაზრებით,—ეს ზედმიწევნით ფრანგებთან მოლაპარაკებაზე ითქმის. მართლაც, მიუხედავათ იურიდიულ ცნობისა, მოსკოვმა ვერ მიაღწია დღემდე ნორმალურ დამოკიდებულებას ევროპასთან. ჩემბერლენსა და ლიტვინოვს შორის ამას წინათ გაცვლილმა მტრულმა ნოტებმა კიდევ უფრო დააშორა ეს მომენტი. ამას ზედ დაერთო ჩინეთის კრიზისი, რომელშიც მოსკოვსაც უძევს თავისი წილი, და ამიტომ უნდობლობა მის მიმართ ერთი ორათ გაიზარდა.

ჩვენ ეხლაც ყურში გვიზუის საბჭოთა პრესის განგაში და კრემლელთა პტყელი სიტყვები იმის გამო, რომ ინგლისი ახალ სამხედრო კოალიციას ადგენს «კავშირის» წინააღმდეგო. მეტია ლაპარაკი, რომ ეს მორიგი დივერსია იყო ღირსებააყრილ ქვეშევრდომთა თვალის ასახვევათ, თორემ რაც მართალია და რის უარყოფა არ შეიძლება—ეს ისა, რომ ევროპაში მწიფდება აზრი, რომლის მიხედვით უტოპიურია და ფუჭი დღევანდელ რუსეთთან სეპარატიულათ შეთანხმების ცდა.

დიდ ხანს სარგებლობდა მოსკოვი ევროპის მოუწესრიგებლობით, სახელმწიფოთა და ერთა ურთიერთ დავითა და ქიშპობით. ის ელაპარაკებოდა დღეს ერთ სახელმწიფოს, ხვალ მეორეს და არ შეიძლება ითქვას—უნაყოფოთ. საბჭოთა მთავრობა იცნეს ზედი-ზედ სახელმწიფოებმა და ისიც უპირობოთ, ე. ი. არც კი მოსთხოვეს მას, წინასწარ, ვალის ცნობა და ზარალის ანაზღაურება. ასე ეგონათ, თუ ნდობით მოვეპყრობით, დაგვიფასებს და მაგიერს მოგვიზღავსო. ეხლა კი ხედვენ, რამდენათ გაუფრთხილებლათ მოიქცენ. მოსკოვმა პირშავათ გადაუხადა ყველას: დიპლომატიური მისსიები და კურიერები იმისთვის გამოიყენა, რომ ერთი ათათ გაეძლიერებია აგიტაცია-პროპაგანდა სწორეთ მათ დასამხობათ.

ამასობაში მოხდა, თანდათანობით, ევროპის ერთგვარი სტაბილიზაცია: დოუსის გეგმა, ლოკარნო, გერმანიის ერთა ლიგაში შესვლა... და მოსკოვსაც წონასწორობა წაერთვა. ის ვერ ისვენებს, ხან აქეთ ეხეთქება, ხან იქით, ერთს ელრიჯება, მეორეს ემუქრება, ფრაზების კორიანტელს აყენებს პრესაში, ნოტებში. მაგრამ, როგორც თხუნველა ბორბალზედ, ვერსათ პოულობს დასაყრდნობ წერტილს. «კავშირის» გარიყვა ფაქტია.

მაგრამ ადვილი სათქმელია გარიყვა! განა შეუძლია რუსეთს უევროპოთ იარსებოს? არა, რასაკვირველია. ბოლშევიკებიც ამბობდენ ჯერ კიდევ გენუაში: ევროპას ურუსეთოთ არსებობა არ შეუძლიაო! ხოლო მათმა «სოციალისტურმა მეურნეობამ» ისიც კი გააქარწყლა, რაც უდაოა ამ ფრაზაში. ევროპას მართლაც ეჭივრება «კავშირის» ნედლი მასალა, სანოვაგე, აგრეთვე მისი ბაზარი, მაგრამ რწმუნდება, რომ შეუძლებელია მოსკოვთან შეთანხმება ძველი გზით, ე. ი. სეპარატიული მოლაპარაკებით. აქედან ის ასკვნის, რომ საჭიროა ყველა დაწინაურებულმა სახელმწიფოებმა შექმნან ერთგვარი მთლიანი ფრონტი, შეიმუშავონ საერთო პროგრამა, თვით მეთოდიც მოსკოვთან სალაპარაკოთ.

პუანკარემ სთქვა სენატში 1924 წელს: ჩვენ შეთანხმებული ვართ ვაშინგტონის მთავრობასთან, ერთი მეორის დაუკითხავათ ნაბიჯი არ გადავდგათ მოსკოვთანო. ეს სწორეთ დასაწყისი იყო მთლიანი ფრონტის... მაგრამ ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო მაშინ მზათ: ერიომ იცნო მოსკოვი უპირობოთ, მასზე ადრე მაკდონალდმა, და ხელიც მოუწერა მოსკოვს წინასწარ შეთანხმებაზედ, რაც შემდეგ უკუაგდო ბოლდვინის მთავრობამ.

მაშასადამე, მოსკოვი ყველაზე უფრო უფრთხის არა სამხედრო, არამედ ეკონომიურ-ფინანსიურ კოალიციას მის წინააღმდეგ. მისთვის აშკარაა, რომ, თუ ევროპამ შეიმუშავა ერთი საყოველთაო ხაზი და ამისდამიხედვით წარუდგინა მას საერთო თანხმობით ჩამოყალიბებული მოთხოვნები,—ის იძულებული გახდება, იარაღი დაჰყაროს და დაემორჩილოს მის კარნახს.

მოსკოვი გრძნობს, რომ ეს საბედისწერო მომენტი უკვე დგება მისთვის. ინგლისთან მწვავე დამოკიდებულება, რომელიც თავის ლოღიკურ ბოლოს უახლოვდება, დიდ საგონებელში აგდებს მოსკოვს. ერთად ერთი ხსნა შექმნილ მდგომარეობაში, არ არის გასაკვირი, თუ მას საფრანგეთთან შეთანხმებაში ელანდება. და აშკარაა, კრემლის მედროვენი ძლიან შორს წავიდოდენ დათმობის გზით საფრანგეთითის მიმართ, ოღონდ უკანასკნელი ჩამოაშოროს ანტირუსულ კოალიციას.

ჩვენ არ ვიცით, რა დირექტივები ჩამოიტანა რაკოვსკიმ მოსკოვიდან. პრესაში მხოლოდ სულ მოკლე და უმნიშვნელო ცნობა იყო მოთავსებული რუსეთ-საფრანგეთის კონფერენციის განახლების შესახებ. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ დემონზიმ, კონფერენციის თავმჯდომარემ, ხაზი გაუსვა ვალის საკითხს, რის საპასუხოთ რაკოვსკიმ ხაზი გაუსვა კრედიტის საკითხს! დასკვნა თავისთავათ ნათელია: მოსკოვი არ უარობს ვალის გადახდას—თითქოს რაოდენობა და ვადა უკვე განსაზღვრულია—, ხოლო ამას ის კრედიტის მიღებას უკავშირებს.

წავიდა ის დროც, როცა რიკოვი არწმუნებდა როსტოვის მუშებს, რომ ჩვენ მივიღებთ ფრანგებისგან დიდძალ თანხას სესხათ და აქედან უმცირეს ნაწილს [illegible] გადავუგდებთ რუსულ ფასიან ქაღალდების გასანაღდებლათ. ეხლა უკვე ლაპარაკი არ არის კრედიტზე [illegible] მოსკოვი მოითხოვს კომერციულ კრედიტს ფაბრიკატების სახით. ამ რიგათ, ვალი მოსკოვმა ოქროს ფრანკებით უნდა იხადოს და ისიც იმ წესით, რომ «კავშირის» ბიუჯეტში შევიდეს, როგორც გასავლის ერთ-ერთი პარაგრაფი. რაც შეეხება კომერციულ კრედიტს, თუ ფრანგები წავიდენ ამაზე, ისინი უთუოთ გარანტიასაც მოსთხოვენ მოსკოვს.

დაზარალებულ ფრანგთა დაკმაყოფილება—ეს კიდევ სხვა კითხვაა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი. არა ერთი მილიარდი ფრანკი ჩაჰყარეს ფრანგებმა ყოფილ იმპერიის მრეწველობაში; ბოლშევიკურმა გადატრიალებამ «ნაციონალიზაცია» უყო მათ ქონებას; ისინი მოითხოვენ უკანასკნელის დაბრუნებას ან ანაზღაურებას. გარნა მოსკოვსაც აქვს თავისი პრეტენზიები საფრანგეთის მიმართ, ინტერვენციის გამო, და იგი ალემატება ფრანგების ზარალს! არაა გამორიცხული, რომ რაკოვსკი წარადგენს ამ დაფთარს, მაგრამ საეჭვოა, ამ ნიადაგზედ მისცეს მან ბრძოლა. მთავრობის თავმჯდომარე და ფინანსთა მინისტრი პუანკარე, ამბობენ, არ დასთმობს დაზარალებულთა ინტერესებსო.

მაგრამ, გარდა ვალებისა და ზარალისა, ფრანგ ვაჭარ-მრეწველთ—და განა მარტო მათ!—აინტერესებთ «კავშირის» ქვეყნებში მუშაობა, აღებ-მიცემობა, და ამისათვის სარფი პირობები. დაზარალებულ ინგლისელთა ორგანიზაციამ, მაგ., ფრიად საყურადღებო მემორანდუმი წარუდგინა ამის შესახებ თავის მთავრობას შარშან. მემორანდუმი ხაზ-გასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ ინგლისი და რუსეთი თანასწორი პირობებით არ სარგებლობენო. მაშინ როდესაც—ამბობდა ის—რუსები შეუზღუდველათ სარგებლობენ დიდი ბრიტანეთის კანონებით, რომლის ძალით ისინი თავისუფლათ ვაჭრობენ ჩვენში, აკეთებენ საბანკო ოპერაციებს, აარსებენ ამხანაგობათ და პოულობენ სასამართლოს მფარველობას,—ჩვენი მოქალაქენი სრულიად მოკლებული არიან ამ ელემენტარულ უფლებებს და გარანტიებს რუსეთშიო. მემორანდუმი ასკვნიდა ამიტომ, დროა ჩვენმა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ დაუშვებელ უთანასწორობასო და, როგორც პირველი ნაბიჯი, ის მოითხოვდა 1921 წ. სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებას.

ფრანგებს ჯერ არა აქვთ ხელშეკრულება მოსკოვთან, მაგრამ მათ წინაშეც იგივე კითხვა ისმის. ჩქარა გამდიდრების მოტრფიალეთა «ვაჭრობა» რუსეთთან არავის აკმაყოფილებს, გარდა სპეკულიანტებისა. მოსკოვმაც ამოსწურა ნაცარცვნაქურდი «საქონელი», ჯერი მიდგა სამეფო-საგვარეულო ძვირფას ნივთებზე და ესეც ხომ საჯაროთ იყიდება. მაშასადამე, აქვთ თუ არა ფრანგებს მეტი შანსები რუსებთან მოლაპარაკებაში, ვინემ ინგლისელებს, რომელთა პესიმისტური აზრი ამ საგანზე ზევით მოვისმინეთ? ჩვენ არ გაგვიკვირდება, რომ ზოგმა საქმიანმა ფრანგმა დადებითათ მიუგოს ამ კითხვაზე. მოტივი ამ შემთხვევაში ის იქნება ალბათ, რომ ვისარგებლოთ საბჭოების ინგლისზე გადაკიდებით და მეტი დათმობები გამოვგლიჯოთ ხელიდანო. დიახ, მეტი დათმობები შესაძლებელია, მხოლოდ... სიტყვით და არა საქმით! ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა არის რეჟიმი. მოსკოვის მთავრობა თვითონ უძღვება მსხვილ მრეწველობას, მასვე აქვს ექსპორტ-იმპორტის მონოპოლია, შინაც მისი აგენტები ეწევიან ბითუმით ვაჭრობას... ასე რომ კერძო თაოსნობა და თვითმოქმედება ჩაკლულია, ყველაფერი სასტიკ რეგლამენტაციას და «გეგმებს» ექვემდებარება, რომლის ვარაუდი, თუ მეტით არა, 50 პროცენტით დაქანებულია ან აქანებული. გაცრუვდა «ნეპ»-ის იმედებიც, რამდენათაც საქმე ეხება მსხვილ წარმოებასა და ვაჭრობას. ნეპმანები არიან, რა თქმა უნდა, მაგრამ ისინი გარს შემორტყმიან ვნეშ და ვნუტრ-ტორგის აპარატებს და სპეკულიანტობენ, რაც ძალა და ღონე შესწევთ.

საინტერესოა, მეორეს მხრით, რაკოვსკის განცხადება ერთ ინტერვიუში, რომ ჩვენ ეხლა კონცესიებს არ ვაწვებითო, და თვითონვე აღიარებს ამ დარგისადმი ყოველ მიმზიდველობის დაკარგვას. მართლაც, ეხლა ყველამ უწყის, თუ როგორ მოსტყუვდენ გერმანელი და სხვა კონცესიონერები აღთქმულ «კავშირში», უკან გამორბიან ისინი წყევლა-კრულვით. რაკოვსკი მეორე გამოსავალს პოულობს: ჩვენ გვჭირია საფრანგეთის მანქანები და იარაღები ნავთის, ლითონის, ელექტრონის მრეწველობაში, და ეს დარგები თვითონვე ჩინებულათ უზრუნველყოფენ კომერციულ დიდვადიან კრედიტებსო. ის არ ამბობს როგორ?—მაგრამ აშკარაა გულისხმობს, რომ ჩამოთვლილი დარგები, იმავე «სოციალისტური» მეთოდებით, ადვილათ გაისტუმრებენ თავნსაც და სარგებელსაც! რაკოვსკი სტყუვდება, თუ ჰგონია, რომ ევროპაში არ იციან «კავშირის» მრეწველობის შესაძლებლობანი. გამოსავალი მხოლოდ ერთია: მთელი მრეწველობის დენაციონალიზაცია და ევროპა-ამერიკელთა დაშვება როგორც თანხით, ისე ცოდნით, მის რაციონალურათ ასამუშავებლათ...

მაგრამ ეს ისეთი მოთხოვნაა, რომელზედაც ვერ წავა ბოლშევიზმი. ეს რომ დაეშვათ, ვერც სტალინი იბოგინებდა კრემლში და ვერც რაკოვსკი—რუსეთის საელჩოში აქ! ამაშია მთელი პრობლემის სიძნელე. ევროპიელნი ხშირათ ივიწყებენ, რომ რუსეთს განაგებს არა მთავრობა, არამედ პოლიტბიურო, და უკანასკნელის ინტერესები სულაც არ ფარავს სახელმწიფოს ინტერესებს.

დე მონზი გრძნობს ამას.. თუმცა მოსკოვთან შეთანხმების იმედს არ ჰკარგავს. მან გამოუშვა «ევროპ ნუველ»-ში საინტერესო წერილი სათაურით: «პროპაგანდის შემცირებისთვის: ჩაურევლობის პაქტი». ეს მართლაც ახალი სიტყვაა! სად გინდა, რომ არ გაიგონო დღეს ბაასი შეიარაღების შემცირებაზე, თავდაუსხმელობის პაქტზე? დე მონზის სურს ეს გარანტიები პრაპაგანდაზეც გაავრცელოს! მხოლოდ ასეთი შეთანხმებისთვის ის საჭიროთ თვლის დაწინაურებულ სახელმწიფოთა მთლიან ფრონტს, რათა აიძულონ მოსკოვი ხელი აიღოს პროპაგანდა-აგიტაციაზე სხვის ქვეყნებში. აქედან ცხადია, დე მონზი ვერ ატყობს, რა კავშირია ბოლშევიკურ პოლიტიკასა და ეკონომიას შორის, თუმცა ამ ორ სფეროს ერთი მეორისგან განუყრელობის დამტკიცებისთვის თვით ბოლშევიკები ყვირიან ყველაზე მეტ[illegible] მუდამ მარქსა და ლენინს იმოწმებენ.

უნდა ვიფიქროთ, დემონზი, როცა ის დარწმუნდება, რუსებთან მოლაპარაკების დროს, რომ უიმედოა სეპარატიულათ რამის მიღწევა, მაშინ წამოაყენებს მთლიან ფრონტს არა მარტო «პროპაგანდის შემცირებისთვის...» და, ვინაიდან ეს მიდრეკილება დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში, ბოლშევიკურ რუსეთის მიმართ, სხვა მიდრეკილებებზე უფრო ძლიერია და უალრესი, მოსკოვის უკანასკნელი კოზირი ისევე გაცუდდება, როგორც პირველნი.

## ქართული ისტორია სიონის სამრეკლოს წვერზე!

1801 წელს, თორმეტ სექტემბერს რუსეთმა გააუქმა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ უსამართლო და მოტყუილების წესით წარმოებულ ამბავის წვრილმანს თვით რუსის ისტორიკოსებიც არ მალავენ და საკმაო დაწვრილებით აგვიწერენ. შეჰკრიბეს ქართველები სიონის ტაძარში, შემოარტყეს ჯარი და ზარბაზნები და უბრძანეს ერთგულების ფიცი მიეღოთ. ეკლესიაში ბევრი სცენა მოხდა. მრავალმა უარი სთქვა ჯვარისა და სახარების ნთხვევაზედ. მაგრამ ურჩნი დასაჯეს და ხალხს კი გამოუცხადეს, რომ ერთგულებაზედ ყველამ მოაწერა ხელიო. ლეონიძის ცდა, ასეთი ძალმომრეობის წინააღმდეგ ხალხი აეჯანყებინა, უშედეგო გამოდგა. მაგრამ ხალხი აჯანყდა, და ისიც არა ერთხელ, სხვა დროს და სხვა პირთა მეთაურობით.

პირველი მძლავრი პროტესტი რუსული ვერაგობის წინააღმდეგ ქართველ ქალს ეკუთვნის.

როდესაც ქვრივი და ავადმყოფი დედოფლის, გიორგი მეთორმეტის მეუღლის საწოლში, რუსის გენერალი ლაზარევი შეიჭრა და მოითხოვა, დედოფალი დაუყონებლივ რუსეთში გამგზავრებულიყო, დედოფალმა უზრდელ გენერალს მკერდში ხანჯალი ჩაურჭო და ლაზარევი იქვე უსულოდ დაეცა. ქართველი ქალის და საქართველოს დედოფლის ამ თავგანწირულმა საქციელმა საქართველო ვერ იხსნა და მაშინ თვით ქართველი ხალხი აჯანყდა. ეს იყო 1804 წელს. რუსებმა აჯანყება ჩააქრეს და იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, აჯანყების მეთაურნი, დაპატიმრებულნი რუსეთში გადაასახლეს. მე არას ვამბობ სისხლზედ, რომელიც მაშინ დაიღვარა. გაიარა ხანმა და საქრთველო ისევ აჯანყდა 1812 წელს: აჯანყება განზრახ ამ წელს იყო შერჩეული, რადგანაც რუსეთი ნაპოლეონმა გადმოლახა და მთელ საქართველოს მოედო ხმა, ნაპოლეონი საქართველოს განსათავისუფლებლად მოდისო. აჯანყების სული და გული იყო ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც სპარსეთში იყო და სპარსეთის ჯარით უნდა შემოსულიყო საქართველოში. აჯანყებულებმა მთელი კახეთი დაიპყრეს და ქართლში გადმოვიდნენ. მაგრამ ალექსანდრე იგვიანებდა და აჯანყების საქმეს ეს ახდენდა. მაშინ აჯანყებულებმა ალექსანდრესაც არ მოუცადეს, ალავერდის ტაძარში, გრიგოლ ბატონიშვილი, გიორგი მეთორმეტის შვილიშვილი, საქართველოს მეფედ აკურთხეს და აჯანყების გაფართოვებას და საქართველოს დაპყრობას უფრო მედგრად შეუდგენ. გრიგოლმა მხოლოდ ორ თვეს იმეფა, რადგანაც ოცდა შვიდმა ათასმა რუსის ჯარის კაცმა ეს აჯანყებაც სისხლში ჩაახრჩო.

1819 წელს იმერეთში მოხდა დიდი აჯანყება და თუ რა სასტიკი ბედი ეწვია ამ აჯანყებასაც. როგორ დაახჩვეს რუსებმა გენათელი და ქუთათელი მიტროპოლიტები ტომრებში, ქართველი ხალხის ისტორიამ ესეც თავის კაბადონზე შეიტანა.

ამას მოჰყვა შემდეგ «გურიის ჯანყი». სიტყვა «ჯანყი» საერთო ქართული სიტყვაა ამ დროისა და არსებობს იულონ ბატონიშვილის 1804 წლის მოწოდება, ურჩევს ქართველებს— «ჯანყი ჰქენითო».

გაიარა კიდევ ხანმა და 1832 წ. საქართველოში მოხდა დიდი შეთქმულობა. ამ შეთქმულობის მასალები მხოლოდ ეხლა იქნა ამოკრეფილი რუსული არქივებიდან და პროფ. პოლიევქტოვი მოგვითხრობს გაზეთ «კომუნისტში», რა დიდი მოძრაობა იყო ეს მოძრაობა, როგორ იღებდა მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობას ამ შეთქმულობაში.

1855 წელს რუსებმა გააუქმეს სვანეთის სამთავრო და ამის საპასუხოდ მთავარმა კონსტანტინე დადიშქელიანმა მოჰკლა რუსის გუბერნატორი თავადი გაგარინი. დადიშქელიანი დახვრიტეს.

როცა რუსებმა, ამის შემდეგ, სამეგრელოს სამთავროს დაუწყეს ნგრევა, ამან გამოიწვია დიდი ხალხური მოძრაობა სამეგრელოში და უცხო სახელმწიფოთა ჩარევაც.

როცა რუსებმა პირველად შემოიღეს თავისი სამხედრო ბეგარა საქართველოში, ამასაც მთელი აჯანყება მოჰყვა ქიზიყში, და აქაც, რაც იშვიათი არ არის საქრთველოს ისტორიაში, აჯანყების ერთი მეთაურთაგანი იყო ქალი-მჭედლიშვილი.

შემდეგ, დიმიტრი ყიფიანის დროს, რუსის ბერმა და ტფილისის სემინარიის რექტორმა ქართულ ენას «ძაღლის ენა» უწოდა. ქართველმა ლალიაშვილმა რექტორი მოჰკლა. საქართველოს ექსარხოსმა პავლემ, ამაზედ მთელი ქართველი ხალხი დასწყევლა. ამან გამოიწვია დიმიტრი ყიფიანის მამულიშვილური აღშფოთების წერილი, რისთვისაც რუსებმა დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს...

დიმიტრი ყიფიანის სიკვდილით დამთავრდა გრძელი პერიოდი აჯანყებების, შეთქმულებათა და ტერორისა, რომელიც თითქმის ყოველ ათ წელში ერთხელ იჩენდა ხოლმე თავს საქართველოში, ანუ ბაგრატიონული პერიოდი ქართველი ხალხის ბრძოლისა დამოუკიდებლობისათვის. აღსანიშნავია ერთი თვალსაჩინო ფაქტი ამ პერიოდისა. ბაგრატიონებს წაართვეს ტახტი, ისინი განდევნეს საქართველოდგან, მაგრამ დინასტიას თავისი თავი გაუქმებულად არ ჩაუთვლია და იდუმალის წესით, რომელსაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში მტკიცეთ იცავდნენ ბაგრატიონები, სახლის უფროსი მუდამ ატარებდა «საქართველოს მეფის» ტიტულს. უკანასკნელი ასეთი მეფე იყო მიხეილ ბატონიშვილი, მიცვლილი 1845 წელს.

გათავდა ბაგრატიონული პერიოდი და დაიწყო «საზოგადოებრივი პერიოდი» საქართველოს აღორძინებისა, ძალთა მოკრებვისა და ძალთა დარაზმვისა ახალის ბრძოლებისათვის. ამიტომ დიმიტრი ყიფიანის სიკვდილის შემდეგ, თითქმის ოცი წლის მანძილზედ საქართველოში არ მომხდარა არც აჯანყება, არც შეთქმულება, არც რაიმე ტერორისტული აქტი, როგორც ეს იყო უწინ. საზოგადოებისა და ხალხის ხელმძღვანელობა გადავიდა მწერლობის ხელში. დამოუკიდებლობის იდეა მთავარი ტემა იყო როგორც ქართული პოეზიის, ისე პროზის განსაკუთრებით აღსანიშნავია ალექ. ყაზბეგის შესანიშნავი მოთხრობები, რომელმაც თუმცა ერთმა. მაგრამ საკმაო ცხოველმყოფელობით და მიუხედავათ ცენზურის კლანჭებისა—ნიჭიერად ასახა ქართველი უბრალო ხალხის ბრძოლა რუსების წინააღმდეგ.

გაჩნდნენ პარტიები პოლიტიკური და სოციალური პროგრამებით და ამასობაში მოაწია 1905 წელმა, როცა ქართველი ხალხი ისევ თავის ძველ ნაცად გზას დაუბრუნდა, გზას აჯანყებისას და მასიურ მოძრაობისას. ამ მხრივ 1905-6 წლები შესანიშნავი წლები არიან. ხალხმა მოსპო რუსული ადმინისტრაცია და შექმნა თავისი, ესე იგი, ქართული. რუსის მთავრობამ ამას ცეცხლითა და მახვილით უპასუხა. სათვალავი არ ჰქონდა არც გადამწვარ დაბა-ქალაქებს, არც დახვრეტილ და ჩამოხრჩობილ ხალხს. ამ ტერორს სათავეში უდგა რუსული ჯარის შტაბი და მისი უფროსი გენერალი გრიაზნოვი. და არსენ ჯორჯიაშვილი იყო ის ქართველი მუშა, რომელმაც მოჰკლა რუსის გენერალი გრიაზნოვი. ეს წელიწადები აღსანიშნავია აგრეთვე იმით, რომ ქართველმა სამღვდელოებამ თავის ყრილობაზედ აშკარად ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მოითხოვა. რუსის ეგზარხის შთაგონებით ქართველი სამღვდელოების ყრილობას ყაზახები მიასიეს და მართლმადიდებელ ქართული ეკლესიის ისტორიაში პირველი იყო ის მაგალითი, რომ ქრისტიანულ სამღვდელოებას «ქრისტეს მოყვარე რუსის მხედრობა» მათრახებით და თოფის კონდახებით სცემდა. ამან გამოიწვია რუსის ეგზარხოსის ნიკონის მოკვლა. რეაქცია აღმოცენებული 1905-6 წლის მარცხზედ გაგრძელდა 1914 წლამდის, ვიდრე ევროპის ომმა არ იფეთქა და რუსეთი და მასთან საქართველო მსოფლიო ომის ქარბუქში არ გაეხვია. ომმა გამოიწვია რუსეთში რევოლიუცია და რომანოვების ტახტის დამხობა. ას ჩვიდმეტი წლის ბრძოლა რუსული მონობის წინააღმდეგ, მთელი აზრი ქართული აღორძინებისა და განთავისუფლების ცდისა დაგვირგვინდა სრული გამარჯვებით და ახალი ხანის დასაწყისი საქართველოში გამოითქვა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში. საქართველომ რუსეთისაგან თავი გაინთავისუფლა. მან მიაღწია იმასაც, რომ მისი დამოუკიდებლობა იცნეს ევროპისა და სხვა სახელმწიფოებმა და საქართველო შეუდგა ახალ ცხოვრებას.

მგონი ეს არის ისტორია. უკეთესი ფაქტები იმისა, რომ ქართველი ერი არასოდეს არ შერიგებია რუსულ უღელს და როგორც უკვე ითქვა, თითქმის ყოველ ათ წელში, ხან აჯანყებებით, ხან შეთქმულობით, ხან ცალკე პირთა პატრიოტულ თავგანწირულობით, ხან მასსების ამოძრავებით, მთელი თავისი მწერლობით და ეროვნული მაჯის ცემით, განმეორებით და განუწყვეტლივ აღნიშნავდა თავის დაუშრეტელ სურვილს დამოუკიდებლად არსებობისა—იქნება ყველა ერსაც არა აქვს. რამდენი დაიღვარა სისხლი, რამდენი დაიღუპა ხალხი, რამდენი იყო აღტაცება და რამდენი გაცრუებული იმედი! როცა იგონებ, რომ, მაგალითად 1832 წლის შეთქმულებას თითქმის ისევ ქალი მეთაურობდა—თამარ ბატონიშვილი, მეფის ძის იულიონის ასული, საგანგებოთ რუსეთიდგან ამისათვის ტფილისში ჩამოსული, როცა იგონებ, როგორ ჩიოდა ჯერ სულ ახალგაზდა და იმავე შეთქმულებისთვის რუსეთში გადასახლებული პოეტი გიორგი ერისთავი: «მივდივარ, გარნა სული აქ მრჩების!» როცა იგონებ, რა კაეშნით სწერდა იმავე საქმისათვის დასჯილ გრიგოლ ორბელიანს მისი გენიოსი დისწული ტატო ბარათაშვილი:

«ძიავ ყაბახი, სამშობლო შენი
წაგართვა ავის ენისა გესლმან,
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!»

როცა იგონებ იმასაც, რომ ამ რუსული ტერორის ნიადაგზედ წარმოიშვა ხალხური თქმა, ეს ნამდვილი დაკვნესება ქართველი ხალხისა და არა ის პირუტყვული შიში, რომლითაც არიან დამფთხალნი დღევანდელი ჩვენი რენეგატები:

ვაი, დედავ, მეშინიან—
რუსი ისვრის პატრნასა!

როცა იგონებ ყოველივე ამას, სიამაყით ფიქრობ, რომ იყო, მაშ, საქართველო! იყო ეს შეუპოვარი ქართველი ერი! იყო მისი ისტორია, ის შეუჩერებელი და შეუწყვეტელი ანსამბლი ქართული აზროვნებისა, რომლითაც გუშინაც ცხოვრობდა იგი და ხვალაც იცხოვრებს.

ყველაფერი ეს იყო. ეს არის სიდიადე ერისა, აქ არის მისი უკვდავება! მაგრამ დიდებისა და სულის მაღალი მოძრაობას გარდა, მუდამ «არიან ადამიანები, რომლებიც სცხოვრობენ ჩიმბორაზოზედ სიბინძურისა!», სწერდა კაი ხანია— ბეერნე.

«სიბინძურის ასეთი კუნძული ჩიმბორაზოა სწორედ ჟურნალი «ახალი გზა.»

საძაგელი გაზეთი ქვეყნად ბევრია და უფრო მეტი კიდევ საძაგელი მწერალი-მეგაზეთე. მაგრამ არ არის ქვეყნად ისეთი გაზეთი, სადაც, ჩვენში რომ იტყვიან, წამლად მაინც, ერთი ისეთი სახელი არ ერიოს, რომელიც თუ სულ პატიოსანი არა, სულ უპატიოსნო მაინც არ იყოს. ამ ადათს ძველად სწორედ სულ უპატიოსნო გაზეთები უფრო მისდევდნენ, რადგანაც ასეთი რამ შინ ნამუსის მოსაწმენდათ იყო საჭირო, გარედ, თუ გნებავთ, ხალხის გასაბრიყვებლად. ბ-ნ პეტრე გელეიშვილს ეხლა ამ პატარა კომპრომისზედაც ხელი აუღია და თავისი ჟურნალი განზრახ მარტო რენეგატებით გაუვსია.

ჟურნალს თავისი პუბლიცისტი ქალიცა ჰყავს—ალექსანდრა ლლონტი, რომელსაც, იცის თუ არა ირბო-კვერცხის მოწვა, ღმერთმა უწყის, მაგრამ პირდაპირ [illegible] უმანკოებით სჯერა, რომ «ყოველმა მზარეულმა ქალმა უნდა იცოდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.» მე [illegible] წრფელობით ვფიქრობ, რომ თუ ეს უმანკოებაც—ალექსანდრა ლლონტი მართლა პატიოსანი არ არის, ჟურნალში ერთი რიგიანი ადამიანიც ურევია.

რასა სწერენ პეტრე გელეიშვილი და მისი ორგანო? ქართულ ისტორიას! მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ისტორია ის კი არ ყოფილა, რაც მე მოუთხარი მკითხველს. გელეიშვილს თავისი ქართული ისტორია ჰქონია. ამ ისტორიაზედ გელეიშვილი ისეთ ბუქნას გადადის, ისეთ მალაყებს აკეთებს, რომ აღნუსხვა იმისა, თუ სადამდის შეიძლება მივიდეს ადამიანი ბოლშევიკურ საზოგადოებაში, როცა აგი ისტორიკოსი არ არის და თანაც, რუსულად რომა ვსთქვათ, პადლეციც არის, პირდაპირ აუცილებელია.

დავიწყოთ იქიდგან, რომ მთელ «მადლს» იმისას, რომ რუსეთმა საქართველო დაიპყრო—გელეიშვილი მეფე ირაკლის აწერს. გაბალშევიკებული გელეიშვილი მეფე ირაკლის მხარზედ ხალხს ურტყავს, რუსული ორიენტაცია შენი მოგონილია, შენ მხცოვანი მეფე ხარ, ყოჩაღ ბიჭო, მეც შენთან ვარო! გელეიშვილი ცოტა სხვანაირად ამბობს ამას—შენთან პოეტი ბარათაშვილიაო, მაგრამ ჩვენს უწმაწურ დროში ბარათაშვილი და გელეიშვილი ვის გაუყვია. პირიქით! გელეიშვილის ისტორიას რომ კითხულობ, არამც თუ ბარათაშვილია კომსომელეცი, თითონ ირაკლი მეფეც არაფერია, თვინიერ სემიჩკა-ჭამია წითელ ნაჩდივისა, რომელმაც თითონ დაუპყრო რუსეთს საქართველო და შიგაც ბოლშევკური რეჟიმი გაამეფა.

ვიდრე სიტყვას გავაგრძელებდე, მე მინდა ერთი ისტორიული ამბავი ავნიშნო. ირაკლის ჰქონდა რუსული ორიენტაცია. მან ზურგი უბრუნა სპარსეთსა და ოსმალეთს და კავშირი რუსეთთან შეჰკრა. ეს მისი ახალი ორიენტაცია იყო. მაგრამ რა არის ორიენტაცია საზოგადოთ და ორიენტაცია პოლიტიკური? საზოგადოთ, ორიენტაცია არის ვითარება, როცა საგანს მანძილზედ უცქერით. ვსთქვათ უგზოდ მიდიხართ და გეზს ვარსკლავით იგნებთ. ვარსკლავი თქვენი ორიენტაციის წერტილია. მაგრამ თუ ვარსკლავი თავის მანძილს მოსწყდა და დაგეჯახათ, ეს არის კატაკლიზმი, მიწის ძვრა, მეწყერი, ქვეყნის დაღუპვა და არ ვიცი კიდევ რა, მაგრამ არას გზით ორიენტაცია. ასეა პოლიტიკაშიც. როდესაც 1783 წელს ირაკლი მეფემ რუსეთთან დასდო კავშირი, რუსეთი მისი პოლიტიკის ორიენტაციის წერტილი შეიქმნა. მაგრამ 1801 წელს რუსეთი მოსწყდა თავის მანძილს, საქართველოს თავზედ ჩამოენგრა და გასჭყლიტა. 1918 წელს საქართველო ისევ აღსდგა და 1920 წელს ისევ დასდო კავშირი რუსეთთან. თუ გნებავთ ორიენტაცია აქაც იყო. მაგრამ 1921 წელს რუსეთი ისევ მოსწყდა თავის მანძილს, ისევ ჩამოენგრა თავზედ საქართველოს და ხელახლად მისჭყლიტა.

აი ორიენტაცია და აი ისტორიული ფაქტები.

მაგრამ გელეიშვილს ორიენტაციის მნიშვნელობა არ აინტერესებს. ის უფრო იოლად ირჯება. რუსულ ოკუპაციას ორიენტაციად ნათლავს და ზედაც ირაკლის სახელს აკერებს.

მაგრამ ეს დებულება მტკნარი ისტორიული სიცრუეა. საქართველოს რუსეთთან «შეთანხმება», ანუ ოკუპაცია ირაკლის სიცოცხლეში არ მომხდარა. მოხდა მისი სიკვდილის შემდეგ და ქვემოთ მოყვანილი ისტორიული ფაქტი სავსებით დაამტკიცებს, რომ მოხდა სწორედ ირაკლის სურვილის წინააღმდეგ. შეიძლება მეტის თქმაც. ირაკლის სიცოცხლეში რუსეთი ვერ გაბედავდა ამას. ირაკლის მსოფლიო სახელი ჰქონდა და ამას რუსეთიც უწევდა ანგარიშს.

1771 წელს, ჯერ კიდევ 1783 წლის ტრაქტატის დადებამდე, საქართველოში იყო რუსის ჯარი, გენერალ ტოტლებენის უფროსობით. ოფიციალური მისია ამ ჯარისა იყო დახმარებოდა ირაკლის თურქებთან ომში. მაგრამ ასპინძის ბრძოლაში ტოტლებენმა ირაკლის უღალატა და ზურგშიაც შეთქმულება მოუწყო. ტოტლებენს სურდა ირაკლის ტახტიდგან ჩამოგდება და საქართველოს რუსის პროვინციად გამოცხა-

## ძველი და ახალი საქართველო. *)

### IV.

1801 წლის, სექტემბრის 12-ს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველმა გამოსცა მანიფესტი, რომლითაც რუსეთმა, ვითომც ქართლ-კახეთის თხოვნით, იგი შეიერთა. ქართლ-კახეთის სამეფოს მოსპობა იმის ნიშანი იყო, რომ არც იმერეთის სამეფოს მოელოდა უკეთესი. რუსეთის მოწინააღმდეგე სოლომონ ლეონიძემ 1200 წლოვან ბაგრატიონთა ტახტის დანგრევის შემდეგ, იმერეთის მეფეს მიაშურა და მასთან ერთად რუსეთის იმპერიალიზმს ბრძოლა გაუმართა, თუმცა აქაც დამარცხდა. ქართლ-კახეთში მეფობის მოსპობით აღიგავა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნიშანი და ეს კარგათ იგრძნეს ქვეყნის მეთაურებმა; რუსეთის ამ აქტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია და იგი უპროტესტოთ არ დარჩენილა. კახელები სწერდენ რუსეთის იმპერატორს: «კახეთის ყველა მცხოვრებნი, სასულიერონი და არასასულიერონი... როცა ჩვენ ვიფიცავდით ერდგულებაზე, მაშინ გამოგვიცხადდა უმაღლესი მანიფესტი, რომელშიც ნახსენებია, ვითომც ჩვენ თქვენს უმაღლეს კარს მოვახსენეთ, რომ მეფე აღარა გვსურს, და ვითომ უმეფოდ გვსურს მ. ი. დ. მფარველობის ქვეშ ყოფნა. ეს ჩვენი მხრივ იქნებოდა ფრანგული ყაიდის რესპუბლიკანობა! ჩვენს მეფეთ ჩვენს წინაშე არ მიუძღვით რაიმე ბრალი, რომ მათზე ხელი აგვეღო... მათ ყოლაზე ჩვენ უარი არ გვითქვამს და ეს მატყუარათა თხზულებაა...» ეს პროტესტი, რასაკვირველია, უშედეგოთ დარჩა. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოთა მოსპობის შემდეგ, ამ ქვეყანათა დამოუკიდებლობის ნიშანწყალის წარხოცვის შემდეგ. რუსული უხეში ძალა ქართული ეროვნული სიძლიერის აკვანს—ეკლესიას მიადგა. რუსებმა მოსპეს დამოუკიდებელი ქართული ეკლესია, დაუმორჩილეს იგი რუსულ სინოდს და 1817 წ. იმერეთშიც ეკლესიის ენათ რუსული შემოაღებიეს! ქართული ენა ყველგან უკან დასწიეს, ადმინისტრაციაში და სასამართლოში რუსული გაბატონეს. ხალხს დაადვეს წელში გამწყვეტი ბეგარა. წყევლა-კრულვა გაისმოდა ირგვლივ... ალექსანდრე ორბელიანი თავის მემუარებში ამის შესახებ სწერდა: «კახეთი არ დამორჩილდა ახალ სასამართლოებს და აღელდა... ტფილისის ვაჭრებმა დუქნები დაკეტეს... ხალხი დრტვინავდა...» რასაკვირველია, როგორი სუსტიც და მდარეც არ ყოფილიყო საკუთარი თავისუფლება, ქართველობა მაინც ვერ შეურიგდებოდა მის დაკარგვას და დაიწყო დიდი ბრძოლა მის დასაბრუნებლათ. ალ. ორბელიანი სწერდა: «რაც რუსები მოვიდენ საქართველოში, იქიდან 1812 წლამდისინ ქართველებმა ექვსი შეთქმა გაუკეთეს რუსებს, საწინააღმდეგოთ იმათი და იმათი გარეკისათვის საქართველოდან... ამით სცნობთ, ქართველებს რუსები უნდოდათ თუ არა»-ო. აქ ამ აჯანყებათა და ბრძოლათა ისტორიას ვერ გავყვები, აღვნიშნავ მხოლოდ ძლიერ და დიდ აჯანყებას: 1804 წ. აჯანყდა მთელი მთიულეთი, 1812 წ. აჯანყდა მთელი კახეთი, 1817-20 წ.წ. აჯანყდა მთელი იმერეთი და რაჭა. რუსებმა სისხლში ჩაახჩვეს ქართველთა აჯანყება და მოსპეს ქართული სახელმწიფოებრივი ყოველი სიმბოლო: პოლიციური რუსული პოლიტიკა გაბატონდა ქართული ცხოვრების ყოველ დარგში.

რა შემოიტანა რუსეთმა ახალი და კარგი?

რა დაჰკარგა ქართველობამ?

ქართველობამ დაჰკარგა ყველაფერი: ეროვნული თავისუფლება, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დაჰკარგა: ქართული ენა, ქართული სასამართლო, ქართული კულტურა. ყმებიც კი უარეს მდგომარეობაში ჩაცვივდენ: რუსული კანონების შემოღებით ქართველ ყმათა მდგომარეობა გაუარესდა, რადგან რუსეთში ყმა და მისი ქონებაც ბატონის ნივთი იყო, საქართველოში კი ყმას თავისი კერძო საკუთრების უფლება ჰქონდა.

რა შემოიტანა რუსეთმა ახალი? მან შემოიტანა: რუსული ენა, რუსული სასამართლო, რუსული პოლიცია და შეუდგა ქართული კულტურის ძირიანფესვიანათ აღმოფხვრას,—და ეს ქართული კულტურა კი მაღლა იდგა, ვინემ რუსული. ორბელიანი სწერდა: «არავინ ველოდით რუსისაგან ამას... ეხლა ვხედავთ, რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა,—ძლიერნი ძალთა სიმრავლითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა: უცნობნი კაცთა, არადამფასებელნი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი...»

ჩვენში ძლიერ გავრცელებულია ის ყალბი აზრი, თითქოს რუსეთის შემოსვლით მაღალი კულტურის ქვეყანა შემოსულიყოს და ამით საქართველოს მოეგოს. გავრცელებულია ის ყალბი აზრი, თითქოს რუსეთი, როგორც ცენტრალისტური და თვითმპყრობელური მაღლა იდგა, ვინემ საქართველო, როგორც ფეოდალური და დეცენტრალისტური—დანაწილებული. მართალია, საქართველო არ არსებობდა, როგორც ერთიანი, მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, არ არსებობდა, როგორც ცენტრალისტური სახელმწიფო, როგორც ეს იყო იტალიაში მე-18 საუკუნის სამოც წლებამდე; საქართველო იყო დანაწილებული პატარ-პატარა სამეფოებათ, ტერიტორიალურ სახელმწიფოებათ, მაგრამ ამ თვითეულ სამეფოში და ეს ითქმის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოზე: თავისი საკუთარი, მაღალი კულტურა ჰყვაოდა: ქართული სკოლა, ქართული ლიტერატურა—წიგნი. ქართული სტამბა, ქართული თეატრი საკუთარი ეროვნული გზით მიემართებოდა. იმ დუხჭირ პირობებში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იყო ჩავარდნილი—მაშინდელი კულტურული დონე,—უმაღლესი მიღწევა იყო. დაასახელეთ რუსეთის მე-17 და მე-18 საუკუნის მწერლები და შეადარეთ მათ ქართველი მწერლები! რა დიდი განსხვავებაა,—რასაკვირველია, საქართველოს სასარგებლოთ! საქართველოს არ დასცალდა შინაგანი ძალებით ამოეწურა ფეოდალიზმი, არ დასცალდა იგი გაერთიანებულიყო, არ დასცალდა, სწორეთ, რუსეთთან მეგობრობის გამო ატეხილ ომებით სპარსელებთან და ოსმალებთან. მართალია: რუსეთმა თავის შემოსვლით პოლიტიკურათ ფეოდალიზმი მოსპო, მაგრამ საქართველოს სამეფოების მოსპობა უცხო, რუსული სახელმწიფოს მიერ არ იყო ისტორიულათ ლოღიკური განვითარების შედეგი. ეს აქტი იყო უცხო ძალის გაბატონება. იარაღის შემწეობით რუსეთმა მოსპო საქართველოში სამეფოები, მოსპო საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დაქუცმაცება, გააერთიანა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, მაგრამ (ვაი უბედურთ!) ეს გაერთიანება მოხდა მით, რომ გუბერნიები შეიქმნა და სამუდამოთ მოისპო საქართველოს სახელმწიფოებრივობა. ამგვარათ, ამ აქტს თან გადაჰყვა ქართველი ერის დამოუკიდებლობა, მისი კულტურა და ისტორიული სხვა შესაძლებლობა. ქართველი ერის გულს დააჭირეს რუსული ხიშტები და საქართველოზე თავის მძიმე ჩექმით შესდგა რუსი სოლდათი.

გავრცელებულია აგრეთვე ის ყალბი აზრი, რომ რუსეთმა თავის შემოსვლისას ევროპის კულტურა შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში. ჯერ ახლანდელი რუსეთი როგორ შორსაა ევროპის კულტურისაგან, და მაშინდელი რაღა იქნებოდა!? რუსეთი შორს იყო საქართველოსაგან, როდესაც ევროპის კულტურამ საქართველოში ფეხი შემოსდგა: ქართული სტამბები ამის მოწამეა, ქართული სასახლის თეატრი ამას გვეუბნება. ევროპიულიდან თარგმანი თხზულებანი ამაზე მეტყველებენ, ევროპასთან ხშირი მისვლამოსვლა, ევროპაში სწავლა და რომთან დამოკიდებულება ამას ლაღადებს; ირაკლი და სოლომონ მეფის მერკანტილისტური პოლიტიკა ამას გვიკარნახებს, საქართველოში რესპუბლიკანური აზრების გავრცელება და ახალგაზდა განათლებულთა ოცნება-ფიქრი საქართველოს გარესპუბლიკანებაზე—მჭერმეტყველურათ ამასვე ლაღადებს. რუსეთი შორს იყო ამ დროს,—რუსეთს პოლიციურს ამაების მოტანა არ შეეძლო, პირიქით, მისი მოსვლით ყველაფერი ეს მოისპო. რა იყო რუსეთი მაშინ, და რა უნდა მოეტანა მას? 1802 წელში რუსებმა დაარსეს მთელი ამიერ-კავკასიისათვის ერთი რუსული სკოლა, რომელიც 1819 წლამდე ორკლასიანი იყო და ამ წლიდან 1828 წლამდე ექვსკლასიანი გახადეს. ეს იყო ერთადერთი სასწავლებელი 28 წლის განმავლობაში: ტიფლისკოე ბლაგოროდნოე უჩილიშჩე!. 1828 წელს დაარსეს რამოდენიმე სამაზრო სკოლა და 1848 წლამდე მეტი არა გაკეთებულა რა! ესე იგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამოდენიმე სკოლა! ისიც რუსული!

ასეთი იყო რუსეთის მიერ შემოტანილი «ევროპიული კულტურა»!

### V.

რუსეთის შემოსვლით საქართველოში მოჰკვდა ძველი საქართველო, ანუ უფრო სწორათ, რუსეთმა მოჰკლა ძველი და-

*) იხ. «დამ. საქართველო» № 15.

დება. ირაკლიმ ტოტლებენი საქართველოდგან განდევნა და რუსეთს ბოდიშის მოხდაც დასჭირდა, როცა მისი ფარული სურვილი ასე სააშკარო შეიქმნა. განა ეს არ ამტკიცებს, როგორ უცქეროდა ირაკლი თავის «რუსულ ორიენტაციას»? აი, ისტორიული ფაქტი. მაგრამ გელეიშვილი ამ ამბავს მალავს, ამბავის ნაცვლად მალაყს გადადის და რათა გაამართლოს საკუთარი და თავისი მეგობრების შეფასება იმ ფაქტისა, რომელსაც ისინი აძლევენ დღევანდელ საქართველოს ოკუპაციას ბოლშევიკების მიერ. ამ მალაყებით ირაკლის გვერდზე სკუპდება და ეუბნება: მე და შენ ერთნაირად ვფიქრობთო. ირაკლისთან ტოლება, ირაკლის გვერდით ამოდგომა უბრალო ტრაბახობა არ არის და ამ უწყინარ საქმეში გელეიშვილს არც შევედავებოდათ. რამდენია ქვეყნად მანიაკი, რომლებიც თავისი ყადრის კაცს მარტო გენიოს პირებში ეძებენ. ამ დატოლებით გელეიშვილი პირდაპირ ეუბნება ირაკლი მეფეს:—წავიდეთ ამხანაგო («მხცოვანო») ირაკლი კომპარტიის ცეკაში ჰონორარის ასაღებათ, შენ შენის ტრაქტატისათვის, მე ჩემის წერილებისათვისო!

შემდეგ უფრო უცნაური ამბავი გვეშლება.

რაკი გელეიშვილი ისტორიის დასაბუთებას მალაყებით შეუდგა, ერთ ისეთ მალაყსაც აკეთებს, რომ ირაკლიდგან ზედ სიონის სამრეკლოს წვერზედ ჩნდება. თუ მალაყია, მალაყიც ასეთი უნდა! ბოლშევიკურ ქვეყანაში რომ ადამიანები გუმბათებზედ და სამრეკლოებზედ დაცოცავენ, ეს ამბავი ჩვენ კაი ხანია ვიცოდით. ჯვრების ჩამოგლეჯა და ზარების ჩამოხსნა პირველი ბოლშევიკური ხელობაა. მაგრამ ამ ხელად საქმე სულ საწინააღმდეგო მოვლენასთანა გვაქვს და გელეიშვილი ზარებს კი არ ხსნის, არამედ აბამს და რეკავს კიდევაც! ვინა ყრიხართ, რომა ყრიხართ, რას მიედ-მოედებით, რის დამოუკიდებლობა და რის ბრძოლა, «მოვედით და თაყვანი ვსცეთ» მოსკოვს, ალილუია, უფალო შეგვიწყალეო!

მოკლედ, გელეიშვილმა მთელი წირვა დააყენა! რა შიგაწ ვართ?

ჯერ კიდევ თავისი ჩამოსვლის დასაწყისში რუსის ჯარებს საქართველოში შემოსეულ ლეკებთან შეტაკება მოუხდათ და რუსებმა ლეკები გარეკეს. ჯარის კაცებს ამის გამო მთავრობისაგან ფულის «ნაგრადა» გამოუვიდათ. კაცია და გუნებაო და ამ რუსებმა ამ ფულით სიონის ტაძარს სამრეკლო აუშენეს. გამოტეხით უნდა ვსთქვა, რომ ეს საქციელი რაღაც არა ჩვეულებრივია, მაგრამ არაჩვეულებრივია სწორედ ამ რუსებისათვის და არა ყველა რუსისთვის, ვინც საქართველოში ყოფილა, რადგან დანარჩენები მხოლოდ ანგრევდნენ და არა მარტო სამრეკლოებს, თვით ტაძრებსაც. მარტო ერთი დიდებული სვეტი-ცხოვლის მაგალითი რათა ღირს, რომლის შესანიშნავი ფრესკები, რუსებმა კირით გადალესეს. მაგრამ ასეა თუ ისე, რუსებისაგან სიონის სამრეკლოს აგებაც, უკაცრაული მოხსენებაა, «ისტორიული» ფაქტია და გელეიშვილი, აბა, რის გელეიშვილი იქნებოდა, რომ რუსების სადიდებლად და საქებრად ეს ამბავიც არ მოეყვანა.

მერე? მერე და მერე! სწორედ მერე და მერე, რადგანაც რამდენი აულია რუსის ჯარს «ნაჩაი» ქართველი ხალხის აწიოკებაში, განადგურებაში, დაწვაში და დახვრეტაში, ვინ მოსთვლის. მაგრამ კაცი სწორედ გელეიშვილი უნდა იყო, რომ ამ ამბვიდგან სხვა რამე გამოიყვანო გარდა იმისა, რომ რუსებმა მართლა სამრეკლო ააშენეს. გელეიშვილს სწორედ ეს გამოუყვანელი ამბავი გამოყავს. თურმე ეს სიონის სამრეკლო ყოფილა მთავარი საბუთი იმისა, რომ ქართველ ხალხს «რუსული ორიენტაცია» აქვს. მაგრამ ესეც ცოტაა. სიონის სამრეკლოს წყალობით გელეიშვილი მარტო იმას კი არ ამტკიცებს, რომ ქართველ ხალხს «რუსული ორიენტაცია» ჰქონია. თურმე თვით რუსის ხალხსაც «ქართული ორიენტაცია» ჰქონია. განა «ქართული ორიენტაცია» არ არის, რომ რუსის ჯარები დღეს საქართველოში არიან?

აი, ბატონებო, ისტორია! დაწერილი არა მეისტორიესაგან, არამედ გადაწერილი გელეიშვილისაგან. ეხლა გელეიშვილი მოითხოვს, რომ ყველა ქართველმა ამ სამრეკლოს წინ ქუდი მოიხადოს, მთელ საქართველოს მის წინაშე აჩოქებს და თითონაც იქა გდია. პირით სამრეკლოსაკენ და ზურგით სიონისაკენ! მაგრამ სწორედ ამ პატარა გეომეტრიულ წვრილმანში გამოსჭვივის გელეიშვილის ფსიხოლოგიური შიგნეული. ვის უცქერის იგი? სამრეკლოს, რომელიც რუსებმა ააშენეს! ვისკენ არის ზურგით? სიონისკენ, სადაც პირველად გაისმა ქართული პროტესტი საქართველოში რუსეთის დამკვიდრებისა! და ეხლა სიონმაც, სიონისა-ღვთის მშობელმაც, ანგელოზთა და წმიდათა სახეებმა და მამაპაპათა საფლავებმა ამ ჩეკაში დატუქსულ ზურგს უნდა უცქირონ! თხუთმეტმა ქართულმა საუკუნემ უნდა უცქიროს ამ ზურგს და გელეიშვილს არც უნარი აქვს, არც ჯენტლმენობა გაეცალოს იმ ადგილებს და არ აფუჭოს იმ სიონის მიდამოები, სადაც ისტორიული ჰაერი საქართველოსი მუდამ კამსჭვირვალე და სუფთა იყო. ღვთაებავ უცვალებელო, ეს რას დაემზგავსე!

და რაო მკითხველო! იცი რამე შენ ამ სამრეკლოზედ, იცის რამე მაზედ ქართველმა ხალხმა? სამრეკლოზე მარტო გელეიშვილი ლაპარაკობს. მაგრამ სიონზედ? სიონზედ მთელი ქართველი ხალხი!

ქალაქ სიონის ტაძარი
ბაგრატიონთ ააგესა,
ვინც რომ ქართლი რუსებს მისცა
ვა, რა ჭკუა წააგესა!

სად არის აქ სამრეკლო? სად არის აქ რუსული ორიენტაცია? და ეს ლექსი პოეტის ლექსი არ არის. რომანტიკოსს არ დაუწერია იგი და არც ეხლა არის დაწერილი. ისა სთქვა თვით ხალხმა და ისა სთქვა რუსეთის საქართველოში შემოსვლის პირველსავე დღეებში!

აი ქართველი ხალხის ორიენტაცია, ლაჩარნო და წამხდარნო, დაცემულნო და ურიგო მოყმენო!

შ. ამირეჯიბი.

# საქართველო და კავკასია.

საქართველო-კავკასიის ერთა წარსული ისტორიული ცხოვრება მჭიდროთაა გადაწნული ერთმანეთში. მე-10 საუკუნიდან ქართველ მართველთა პოლიტიკა, ეკონომიკა და სტრატეგია ეყრდნობოდა მთელ კავკასიას. თამარ მეფის მე-12 საუკუნის საქართველო, გადაჭიმული შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდის, სამხრეთით აღწევდა ტრაპიზონ-ერზერუმის ხაზს. ამის შემდეგ, თითქმის ორი საუკუნე, საქართველოს ეს მართლაც ოქროს ხანა, კავკასიის საზღვრებშია დამკვიდრებული.

მე-14 საუკუნის დამლევს კავკასიას დაესხა თემურლენგის მონგოლთა ურდოები. თემურმა დაიპყრო ადერბეიჯანი, დაღესტანი და შეესია საქართველოს. ქართველი ისტორიკოსი ასე აღნიშნავს ამ ხანას:

«შვიდჯერ თემური დიდ ძალის ჯარით შემოვიდა საქართველოში, მაგრამ იგი ვერც ერთხელ ვერ დაიმორჩილა. პირიქით, ქართველნი ვაჟკაცნი, შეხიზნულნი კავკასიის მთებში, ყოველთვის თემურის ჯარს უჩუმრად ეცემოდნენ, უხოცავდნენ ჯარისკაცებს და ხშირად სურსათსაცართმევდნენ. ამის გამო თემური თუმცა ძალიან ბოლმა მოწოლილი იყო და სურდა ქართველების სრულიად ამოწყვეტა, მაგრამ მაინც უნდა შერიგებოდა მათ, რადგან ყველა მისი ცდა ამაოდ ივლიდა და ქართველებს ვერ იმორჩილებდა».

მონგოლების შემოსევამ დაარღვია კავკასიის მთლიანობა. დაუძლურებული საქართველო ჰკარგავს თავის საყუდელს კავკასიის ტერიტორიას და დანაწილებულ-დაქუცმაცებული მე-18 საუკუნის მეფე ერეკლე-სოლომონის ხანაში ემწყვდევა რიონმტკვრის ვიწროებში. საქართველოს ეს უკანასკნელი მეფენი აშკარად გრძნობენ, რომ ამ ვიწროებში სახელმწიფოს თავისუფლების შენახვა და დაცვა შეუძლებელია და ცდილობენ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას. ამისათვის მეფე ერეკლემ მრავალი ომი გადაიხადა. შეიერთა განჯა და ერევნის სახანოები. ამავე მიზნით ეხმარება დაღესტანსაც და ხშირად ჰკვებავს მას სურსათ-სანოვაგით, აგზავნის თავის კაცებს მთაში კავკასიის, მთიულებთან სამეგობრო კავშირის გასაწყობად.

მაგრამ სპარს-ოსმალოს პოლიტიკა ეღობებოდა წინ ქართველთა ამ ცდას. ესეოდნენ თვითონ და უსევდნენ მეზობელ ერებს და ანგრევდნენ საქართველოს.

1795 წელს ალამაჰმად ხანის შემოსევამ თბილისში გაუღო საქართველოს კარი, კავკასიონის მთასთან მოწოლილ, რუსეთს. დაიწყო კავკასიის ერთა დაპყრობის მე-19 საუკუნის ისტორია:

1801 წ. რუსეთმა დაარღვია 1783 წ. სამეგობრო ტრაქტატი საქართველოსთან და დაიპყრო იგი. ამის შემდეგ დაანგრია და შეიერთა ადერბეიჯანის სახანოები და ბოლოს მიადგა კავკასიონის მთის არწივს შამილს. ალყა შემორტყმული შამილი 30 წელიწადს თავგანწირულად იცავდა კავკასიის მთიელთა თავისუფლებას. მაგრამ მრავალ მილიონიანმა რუსეთმა სძლია შამილის სიმაგრე და ააფრიალა კავკასიონის ქედზე თავისი დროშა. კავკასიის ერთა უმეზობლობამ და ერთმანეთის მტრობამ, დანაწილებულ კავკასიაში გაუხსნა შემოსასვლელი გზები მეფეთა რუსეთს: დაეცა საქართველო, მერმე ადერბეიჯანი და ბოლოს მთა.

წარსული საუკუნის ეს რუსული გაკვეთილი გასაოცარი მზგავსებით განმეორდა მე-20 საუკუნეში. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კავკასიის დაპყრობის გეზი შეიცვალა: წითელი რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს ჯერ მთა, მერმე ადერბეიჯანი, სასომხეთი და ბოლოს, ხელმეორედ დადებული რუსეთ-საქართველოს შორის 1920 წელს ხელშეკრულების გათელვით, შეესივნენ ამ ქვეყანასაც და მოსპეს საქართველოს თავისუფალი სახელმწიფო.

ერთი საუკუნის მანძილზე ამ ორმა რუსულმა თავდასხმამ დაუმტკიცა კავკასიის ერებს, მათს შორის განსაკუთრებით საქართველოს, თუ რა ფასი აქვს რუსულ სიტყვას და პირობას. საქართველოს თავისუფლებას წარსულში გადაჰყვა მთელი კავკასიაც, და ჩვენს საუკუნეში კი მთიელთა ხალხებს და კავკასიის ულელტეხილის წითელ რუსეთის მიერ დაპყრობას, ამიერ-კავკასიაში თავისუფალ მობინადრე ერების თავისუფლებაც. მართალნი იყვნენ ჩვენი გამოჩენილი მებრძოლი წინაპრები ალექსანდრე ბატონიშვილი, განჯის ხანი ჯევადი და შამილი, რომელნიც მოუწოდებდნენ თავის ერებს: ნუ ენდობით ორგულს, მოღალატე რუსეთს, არ დანებდეთ და არას დროს არ შეურიგდეთ. მუდამ ებრძოლეთ, მხოლოდ ებრძოლეთ, სანამ არ აღადგენთ ღმერთისა და მსოფლიოს წინაშე თქვენს სიმართლეს—კავკასიელთა თავისუფალ ცხოვრებასო...

და ისინი მართლადაც თავგანწირვით ებრძოდნენ რუსებს. მაგრამ ცალ-ცალკე, უკავშირო და განმარტოებულნი და ბრძოლაში ამიტომ დაეცნენ.

ჩვენც. მე-20 საუკუნის თანამედროვენი შევებრძოლენით ტლანქ რუსეთის ძალმომრეობას, მაგრამ კვლავინდებურად ცალ ცალკე, უკავშირო და განმარტოებულნი... ამიტომაც მალე დავმარცხდით. და ვერც ვყრას დროს საკუთარ ფეხზე ველარ დავდგებით, სანამ წარსულ ისტორიულ გაკვეთილებით ნაჩვენებ გზას არ დავადგებით...

კავკასიის ერთა მტკიცე ერთობისა, კავშირისა და ბრძოლისა კავკასიის განთავისუფლებისათვის. მხოლოდ მაშინ შესძლებენ კავკასიის ერები სამუდამოდ მოახრევინონ ქედი რუსეთს კავკასის ერთა თავისუფლების აუცილებლობის წინაშე.

საქართველოსა და ქართველთა მნიშვნელობა თანამედროვე ხანაშიც განსაკუთრებულია.

როგორც თემურლენგის საუკუნეში ქართველი ხალხი გადაიქცა მოწინავე ერად კავკასიაში, თემურის ურდოების ასალაგმავად და გამდევნელად, ასევე დღესაც გამოდის იგი კავკასიის ასპარეზზედ და სცდილობს რუსეთის მონობის უღლის გადაგდებას.

მხოლოდ ძლიერ რუსეთთან დაპირისპირებული მარტო ქართული ძალები, დღევანდელ მძიმე ბრძოლაში აღარა კმარა.

ეს ვცადეთ წარსულში, ვცადეთ გუშინ, ვცადეთ დღეს... და დავმარცხდით.

და მომავალში განცალკევებულნი კვლავ დავმარცხდებით. საჭიროა ფეხზე წამოდგეს მთელი კავკასია. ქართველობა უნდა მიეხმაროს მას მთელი თავისი ნიჭით, უნარით და ძალებით.

---

ქუცმაცებული საქართველო. მის დასაფლავებაზე ბევრი ეროვნული სისხლი დაიღვარა, დიდძალი ეროვნული ენერგია დაიხარჯა, ქართველი ერი გაპარტახდა. ძველ საქართველოს თან ჩაეტანა საფლავში თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ძველ საქართველოში ხელისუფლების მატარებელნი—ქართველი თავად-აზნაურობა შეურიგდა დაბოლოს თავის მწარე ბედს და რადგან ეხლა ხელისუფლებისაკენ გზა მხოლოდ რუსული იყო, ამიტომ სამხედრო კარიერა და მოხელეობა გადაიქცა სანუკვარ მიზნათ.

მეცხრამეტე საუკუნის მთელი პირველი ნახევარი ქართულ ცხოვრებაში თითქოს გაიყინა. თოფის სროლის და ხმლის ტრიალის შემდეგ, თითქოს შესწყდა საზოგადოებრივი მაჯის ცემა, ლიტერატურა თითქოს გარდაიცვალა. აღარ ისმოდა იარაღის ხმაური მეოცე წლების შემდეგ, არც სარდალთა და არც პოეტთა ბრძოლის ყიჟინა და ომის სიმღერა, მხოლოდ ჩუმათ, სარდაფებში, ქეიფის დროს ხდებოდა სჯაბაასი და გრძნობათა აღტყინება დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლათ. ქართული სუფრა გადაიქცა ამ დროს ქართული პოლიტიკის ასპარეზათ და ეს დარჩა დღემდე. 1832 წელში ღალატის გამო რუსებმა აღმოაჩინეს შეთქმულება. ეს შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ, რომლის სულის ჩამდგმელნი ჩვენი დიდი მგოსნები და მომავალი საზოგადო მოღვაწენი იყვენ, როგორც მაგ. ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, ვახტანგ ორბელიანი, ბერი კიკნაძე და სხ. (სულ 146 კაცი) უშედეგო შეიქნა და მისი მონაწილენი რუსეთში გაჰფანტეს. ეს უკანასკნელი ლამაზი, პოეტური სამხედრო ცდა რუსეთისაგან განთავისუფლებისაკენ მიმართული, სრული მარცხით დასრულდა და საქართველოში სამარისებური პოლიტიკური სიჩუმე ჩამოვარდა. კავკასიის მთავარმართებელის ვორონცოვის ცბიერმა პოლიტიკამ ქართულ ოპოზიციურ მიმართულებას საფუძვლიანათ ძირი გამოუთხარა და ქართული პოლიტიკური აზრი დიდი ხნით დაიმარხა.

1852 წ. გიორგი ერისთავმა დაარსა ჟურნალი «ცისკარი», რომელიც შემდეგში ივანე კერესელიძემ განაგრძო. ეს «ცისკარი» იყო ქართული საზოგადოებრივი აზრის ცისკარი, აქ აიდგა მკვიდრათ ფეხი მან და აქვე ვხედავთ, რომ ქართული პოლიტიკა უკვე სხვა ტონზეა მოწყობილი, ეს არაა პოლიტიკური ბრძოლის ტონი, ესაა უკვე შერიგებისა და ლოიალობის კილო.

1840 წლიდან ქართველ ინტელიგენციას დიდი საზრუნავი გაუხდა: ქართული მწერლობისა და საერთოდ ქართული კულტურის ზრდისა და განვითარების საკითხები. ძლიერ ვიწრო და უხეშ ჩარჩოებში, მაგრამ მაინც, დაიწყო ქართული კულტურული ზრდა. ეს მოვლენა მე ბუნებრივათ მიმაჩნია: ისტორიული ლოღიკით, თუ ქართველი ერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მის სასიცოცხლო ენერგიაც გააჩდა, უნდა შემდგარიყო ამ განვითარების გზაზე, მაგრამ იმდროინდელ მოღვაწეთათვის დამახასიათებელი ის არის, რომ ქართული ცხოვრების განვითარებას რუსეთს უმადლიან, ქართული ცხოვრების ზრდისათვის რუსეთს მადლობას სწირავენ. ჟურნალ «ცისკარი»-ს უნიჭიერესი და პირველი ქართველი ჟურნალისტი—მოლაყბე—(მ. თუმანიშვილი) 1857 წ. ამ შეხედულებას ისე მკაფიოთ ჰხატავდა: «სად იყო ჩვენს ტფილისის ქალაქში ამისთანა მშვენიერი სახლები, როგორათაცა ეხლა ვხედავთ? სად იყო ჩვენს ქალაქში ამისთანა ჩინებული ხიდი, რომელიცა აღშენდა მტკვრის მდინარეზე? სადცა ყოფილა ადრე კალო და საბძელი, იქ ვხედავთ სამსა და ოთხ ეტაჟიან სახლებსა; სადცა ყოფილა ნახნავები, იქ ვხედავთ მშვენიერსა ბულვარსა... ასე ზრუნავს იმ დღიდან, რა დღიდანაც იმყოფება საქართველო რუსეთის მფარველობასა ქვეშ, უმაღლესი ჩვენი მთავრობა, რომ არასა ზოგავს ჩვენის კეთილის მდგომარეობისათვის...». «მტერი ვერა ჰბედავს ჩვენს შევიწროებასა, ვინაიდან გვიცავს უძლიერესი ორთავიანი ბედნიერი არწივი ჩრდილოეთისა, სწავლა ჰყვავის უსიტკბოესის ნაყოფითა»...

აი, ასეთი გარდატეხა იყო მომხდარი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში და თფილისში გაშენებულ სახლთა და ბულვართა ჩრდილში დაიმალა ეროვნული თავისუფლების იდეა, ჯვარი დაესო ამ იდეისათვის ბრძოლას და რუსეთის «მფარველობით» დამტკბარნი ხოტბას ასხავდენ რუსეთს ქართველი ინტელიგენტები. საქართველოს იდეა პოლიტიკურათ უკვე გამქრალი იყო. საქართველოს პოლიტიკური იდეა მოისპო ქართველ თავად-აზნაურობის, ამ ერთადერთ მესვეურის, და მისი წრიდან გამოსულ ინტელიგენციის აზროვნებაში. მხოლოდ მკრთალი და სუსტი საყვედური იწერებოდა მემუარებში. ძველი საქართველოს ეროვნული გვარდიის ვეტერანი ალექსანდრე ორბელიანი აფასებს რა რუსეთის ამდროის პოლიტიკას და კერძოთ ვორონცოვის საქმიანობის, შემდეგს ამბობს: «სხვა წარსული მთავარმართებლები ხომ გვატყუილებდენ, მაგრამ ისინი უფრო დესპოტური მძვინვარებით. მაგრამ ის დრო ვარანცოვისა საქართველოში, ჩვენგზით გამოუცდელი, სულ სხვა გვარი მოსატყუებელი დრო იყო ჩვენი ვარანცოვისაგან. ასე ამგვარათ რომ, ბევრის კაიკაცობის აღერსითა, მითომ კაიკაცობას გვიჩვენებდა, ნამეტნავათ უფრო კიდევ იმათ მომეტებით, ვინც რუსეთის ინტერესზე იქცეოდა. ამასთან ხელგაშლილი, ჩინებსა და სხვადასხვა ჯილდოს იძლეოდა, თან ბევრი შექცევა და განცხრომა ჰქონდა ხოლმე, სადაც აღტაცებულის სიხარულით თ-ი გიორგი ერისთავის კომედიებს წარმოადგენდენ თვით გიორგი ერისთავის ზედამდეგობით და ქართულსა ჟურნალსა ცისკარსაც გიორგივე გამოსცემდა და კიდევ რამდენი რამ მოიგონა ვარანცოვმა ჩვენი მოსატყუებელი... ერთობ ქართველებსა ასე ეგონათ, საქართველოში სულ ეს ამბავი ასე დარჩებოდა, იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხრომა-შექცევანი, იმისთანა თიატრ-ლიტერატურობა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვარანცოვის სახელს ადიდებდენ: ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო. მაგრამ მე კი ზედმიწევნით ვიცოდი, ესეები სულ მოჩვენება იყო ვარანცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი გართულიყო დროებითად ამაებში, და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარავის ჰქონოდეს, იმისათვის რომ ვარანცოვის დროს შამილი და დაღესტანი გაძლიერებულნი იყვნენ; ქართველების ეშინოდათ, მაგრამ ვარანცოვმა ამ თავისი ცბიერულის გონებითა ესეები სულ ჩაშალა, და ბოლოს დროს ისევ იმ მონობაში დარჩენ ქართველები, როგორც ადრე იყვენ, რუსებისა»... «ჩვენს ეხლანდელ სასწავლებლებზედაც ვერას ვიტყვით კარგსა ჩვენი ქართველებისათვის; ამისათვის რომ ჯერ სრული განათლების სწავლა იმათში არ არის, და მას უკან, რასაც ასწავლიან, სულ ერთიან ქართველებსა რუსებად ამზადებენ... თუ განგებულებამ ეს ჩვენი დანთქმის მდგომარეობა არ შესცვალა, აქ ქართველი თესლი აღარ დარჩება და ბოლო დროს რუსებად გადაიქცევა ჩვენი მომავალი»...

ასეთ ძვირფას კრიტიკას აწარმოებს ეს ძველი, ჭკვიანი ქართველი, რომელიც საქართველოს თავისუფლების იდეას ფხიზელ დარაჯათ უდგა. მაგრამ ნურავის ეგონება, რომ ის, რაც აქ ამოვწერე, მაშინ სადმე დაბეჭდილიყოს, ეს მემუარიდანაა, რომელიც დღესაც ხელთნაწერათ სძევს ქართულ მუზეუმში! ალექსანდრე ორბელიანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის იდეალის მატარებელი და ალბათ ზოგი სხვაც ფიქრობდა ასე, მაგრამ მათ ფიქრს საზოგადოებრივი როლი არ უთამაშნია, ჩვენს ცხოვრებაზე მათ დაღი არ დაუსვამთ. ის, ვინც ქართულს ცხოვრებაში კვალს ავლებდა, ჩვენი საზოგადოების ეს დიდი ნაწილი, რუსეთს გუნდრუკს უკმევდა და მონობას ეფიცებოდა. ასეთი იყო მდგომარეობა არსებითად, როდესაც ჩვენ მესამოცე წლებთან მივდივართ. მესამოცე წლებიდან იწყება კიდევ ახალი ხანა ქართული ცხოვრების განვითარებაში და ამ ეპოქის მებრძოლი მედროშე არის ილია ჭავჭავაძე.

(გაგრძელება იქნება)

D-r. ვ. ნოზაძე.

---

შეცთომის გასწორება. ბ. ნოზაძის პირველ ფელეტონში «ძველი და ახალი საქართველო» მესამე სვეტში, უკანასკნელ აბზაცში შეცთომითაა დაბეჭდილი: «საქართველოს ეკლესიის დასავლეთ-აღმოსავლეთის ნაწილების დაახლოვება შესაძლებელია 13-14 საუკუნეში მომხდარიყოს»,—ამის მაგივრათ უნდა იყოს: «...დაახლოვება შესაძლებელია მერვე-მეცხრე საუკ. მომხდარიყოს». ამავე აბზაცში დაბეჭდილია: «საქართველო, ... როგორც კანონიკურათ აგებული ორგანიზაცია», უნდა იყოს: «იერარქიულათ აგებული ორგანიზაცია»...

კავკასიის ერები უნდა მოექცნენ ერთ დროშის ქვეშ, გამოვიდნენ ერთის სიტყვით, ერთის საქმით.

დროშას ეწეროს: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის.

სიტყვა იყოს: ძირს რუსეთის უღელი.

საქმე გახდეს: დაუნდობელი, მტკიცე ერთსულოვანი ბრძოლა რუსულ მპყრობელების კავკასიიდან განდევნისათვის.

დ. ვაჩნაძე.

## მუბი ხალთაში.

საქართველოს დედა ქალაქში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა: გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა დასწერა: «მოგონებანი» და ეს საბჭოთა სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა. გენერლის მიერ «მოგონებათა» დაწერა არაჩვეულებრივი არ არის, მაგრამ ამ დაწერილს ბოლშევიკები ბეჭდავენ,—ეს კი არა ჩვეულებრივია და ეს იმით აიხსნება, რომ გამოცემული წიგნაკი ბოლშევიკურ გემოვნებას აკმაყოფილებს სულ მარტივათ იმით, რომ გენერალი ეგრეთწოდებულ მენშევიკებს «ტყავს აძრობს». სალი კრიტიკა მოსაწონია, რასაკვირველია. მაგრამ თუ კრიტიკას მიზნათ აქვს ვილაცას ემსახუროს, ვილაცას ასიამოვნოს, ეს კი უკვე დასაგმობია. მე აზრათ არა მაქვს გენერლის «მოგონებათა» შესახებ აქ დაფასება დავიწყო, მოგონება დაბოლოს მოგონებაა და მთლათ სუბიექტიური. გენერალ მაზნიაშვილის «მოგონებანი» შეეხებიან 1917-25 წწ. მე არა ვარ სამხედრო პირი და ამიტომ ვერც ვბედავ რაიმე ვსთქვა იმ ოპერაციების შესახებ, რომელიც ჩვენს ჯარს უწარმოებია, მაგრამ ამ წიგნმა დამაინტერესა მეორე მხრივ. გენერალი აღგვიწერს (თუმცა მკრთალათ როგორც ყველგან) უკანასკნელი ბრძოლების ამბავს და წინაისტორიის შესახებ სწერს: «უკვე ენკენისთვეში (1920 წ.) სამხედრო მინისტრის კანცელარიამ შეადგინა ვრცელი მოხსენება, ... რომელიც ამბობდა, რომ ბაქოში სდგება ცალკე მე-11 არმია, რომელსაც სათავეში უდგება გეკერი, და ამ არმიის მიზანი და დანიშნულება არის საქართველოსკენ წასვლა» (მოგონებანი, გვ. 150). «1921 წლის იანვრის დასაწყისში ბაქოდან ჩამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი გაბო ხუნდაძე, რომელმაც მთავრობას მოხსენება წარუდგინა და დაადასტურა, რომ ბაქოში დამთავრდა მე-11 არმიის შედგენა, რომლის მიზანია საქართველოს მიმართ ოპერაციების დაწყება» (გვ. 154). შემდეგ აღწერილია ბრძოლა რუსის ჯარების წინაალმდეგ (სათაურათ აქვს: «ოპერაციები ბოლშევიკებთან»!) 13 თებერვლიდან სრულ ოკუპაციამდე (აქ არის ქლობაც!). ბოლშევიკები, ეს დღევანდელი პირწავარდნილი იმპერიალისტები მუდამ გაჰკივიან იმას, რომ საქართველოს მუშები და გლეხები აჯანყდენ და მათ დაამხვეს დემოკრატიული საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა და აქ კი მაზნიაშვილის «მოგონებან»-ში მოთხრობილია ბოლშევიკების თავდასხმა და ბრძოლა, რომელიც საქართველოს რუსეთის წინაალმდეგ მოუხდა, თუმცა გენერალი რუსეთს არ ასახელებს და სამხედრო ტერმინოლოგიით მტერზე და მოწინაალმდეგეზე ლაპარაკობს.

გენ. მაზნიაშვილის «მოგონებანი» რომ კერძო პირს გამოეცა, რომ იგი ბოლშევიკებს «გაპაროდათ», ვერაფერს ვიტყოდით, მაგრამ წიგნი გამოცემულია საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისაგან და მას უძღვის ამავე გამომცემლობისაგან წინასიტყვაობა, რომელიც ასე სრულდება: «მკითხველს ვურჩევდით: გულდასმით წაეკითხა იგი»-ო. გენერლის მიერ «მენშევიკების» ლანძღვას (ეს ხომ კრიტიკა არ არის!) იქამდე დაუბრმავებია ბოლშევიკური გამომცემლობა, რომ ველარ უგრძვნიათ, რომ მაზნიაშვილის «მოგონებანი» ბოლშევიკებს ცხვირპირში სცემენ. წინასიტყვაობაში რომ უარი ეყოთ, თითქოს გენ. მაზნიაშვილის მოთხრობა ბოლშევიკების თავდასხმისა და ოპერაციების შესახებ ან ზემოთ აღნიშნული ამონაწერი სიცრუე არის, მაშინ ეს ბოლშევიკებისათვის სარფიანი იქნებოდა,—მაგრამ სწორეთ ეს დავიწყნიათ მათ და ამგვარათ თავისი სტამბითა და ხარჯით, ამ წიგნის გამოცემით ბოლშევიკებმა დაადასტურეს ის ფაქტი, რაც მათ დღემდე არ უცვნიათ: რომ მათ უცხო ხიშტით დაიპყრეს საქართველო.

მაზნიაშვილის «მოგონებებში» მრავლად არის საბუთები, რომლებიც «თავისთავად ლაპარაკობენ»—იმას»—თუ როგორ მომზადდა საქართველოზე თავდასხმა და როგორ დაიპყრეს იგი. ამ წიგნის ერთი ღირსება სწორეთ ეს არის, ეს სიმართლე, რომლის დაფარვა ბ. მაზნიაშვილს არ შეეძლო და ბოლშევიკებმა კი იგი ვერ მიაფუჩეჩეს. რასაკვირველია:

შუბი ხალთაში არ დაიმალება.

ბ. ვარდანი.

## პროფ. პ. მელიქიშვილის გარდაცვალების გამო

ქართულმა უნივერსიტეტმა, ქართულმა კულტურამ და მთელმა ქართველმა ერმა დაჰკარგა სახელოვანი მეცნიერი, დაუღალავი მოამაგე, ერთგული მამულიშვილი, დაჰკარგა პროფ. მელიქიშვილი რომელიც იყო პირველი რექტორი ჩვენი უნივერსიტეტის და რომელიც, ღრმად მოხუცებული, ყმაწვილურის გატაცებით და დაუშრეტელის სიყვარულით თავს დასტრიალებდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებელს, უკანასკნელ წუთამდე ბედნიერებას ჰპოულობდა მხოლოდ ქართული მეცნიერების ტაძარზე ფიქრსა და ზრუნვაში. იგი იყო ერთი იმ პირთაგანი, რომელთაც დააარსეს ჩვენი უნივერსიტეტი, დასძლიეს მრავალი დაბრკოლება და მოუპოვეს მას სამუდამო, დაურღვეველი, მტკიცე საფუძვლები.

საკუთარი უნივერსიტეტის შექმნა, მისი არსებობა ქართველი ერის ისტორიაში უაღრესი მნიშვნელობის მოვლენაა. იგია ეროვნული შემოქმედების, ეროვნული თვითარსებობის უძლიერესი ფაქტორი, იქ იჭედება ჩვენი ეროვნების ძალა, იქ იშლება და ვითარდება ჩვენი აზროვნება. იქ იზრდება ჩვენი მომავალი თაობა, იქაა ჩვენი ბედნიერი მერმისი—ჩვენი თავისუფალი დამოუკიდებელი ეროვნული არსებობა. ამას განსაკუთრებით ვგრძნობთ ყველანი დღეს, როცა საქართველოს ბედი მოსკოველ მოძალადეთა მეოხებით ასე მძიმეა და საშინელი!..

ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას სამშობლოს მწუხარებას. ვუგზავნით ჩვენს საყვარელს უნივერსიტეტს ულრმეს სამძიმარს.

## უცხოეთის მიმოხილვა.

### წაიჩოქეს.

იმპერიალისტთა პროვოკაციას არ აჰყვებიო—უთვლის ლიტვინოვი ჩან-სო-ლინს და მით ერთხელ კიდევ აღიარებს საჯაროთ დედა-მიწის მეექვსედის უძლურებას. ეს იყო პირველი სილა—გაიხსენეთ ივანოვის დატუსაღება, ყარახანის გაძევება, ფლოტილიის წართმევა,—მაგრამ პეკინში მომხდარი გაჩხრეკა-დატუსაღება საბჭოთა მოხელეთა მართლაც «გაუგონარია» საერთაშორისო განწყობილებაში, როგორც თვით ლიტვინოვი ამბობს თავის ნოტაში. და მიუხედავათ ამისა, ის მხოლოდ საელჩოს საქმეთა მართველს იწვევს უკან და კონსულსაც ადგილზედ სტოვებს! რაათ და, მე ინგლისი არ გეგონოთ, არ მიყვარს ომი-დავიდრაბა, მშვიდობიანობის მოციქული ვარო! ამის საბუთები კიდეც იხილეს გაჩხრეკის დროს: მთელი ზვინი აფიშებისა, პროკლამაციებისა და ბეჭდები... მუშა-შათა და გლეხთა მთავრობის დეკრეტებისათვის! ასე უყვარს მოსკოვს მშვიდობიანობა. მას ბლომათ ჰყავს ჯარები დაგროვილი საზღვარზედ. და ერთ წუთსაც არ შეჩერდებოდა, მარტო ჩან-სო-ლინის ამარა რომ იყოს მანჯურია, რომ მის უკან იაპონია არ იდგეს. ამიტომ ის იძულებულია, იაროს ნაცადი გზით: უდიდეს ეროვნულ მოძრაობის თავის დიქტატორულ მიზნებისთვის გამოყენება, წისისიანება უცხოელებზე, ცეცხლი და მახვილი...

მაგრამ არის გამოფხიზლების ნიშნებიც. კუო-მინ-ტანის პარტიაში დიდი ბრძოლა წარმოებს ამ ჟამად ზომიერთა და უკიდურესთა შორის, მთავარ სარდალ შან-კაი-შეკსა და და მოსკოვის ემისარ ბოროდინს შორის. მათ ვერ შეინახეს ერთობა სრულ გამარჯვებამდე, შანჰაის და ნანკინის აღებამ უფრო გაამწვავა მათი დამოკიდებულება. დიდი სახელმწიფოები, თავის მხრით, შეთანხმდენ კოლექტიურ ნოტის გადაცემაში კანტონის ხელისუფლებისადმი, ნანკინში მომხდარ ამბების გამო. ნოტას არა აქვს ულტიმატუმის ხასიათი, რადგან ყველამ იცის, რომ ნამდვილი დამნაშავე მოსკოვშია საძებნი. ჩრდილოეთის ჯარებიც სარგებლობენ სამხრეთის უთანხმოებით, უკან ახევინებენ გუშინდელ გამარჯვებულთ. მაგრამ ცვალებადობა ჯერ ბევრი მოხდება ბრძოლის ველზედ, დასკვნები ნაადრევია.

ერთი კი მაინც შეიძლება ითქვას: არ მართლდება მოსკოვის მოლოდინი, ვითომ დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს უნდა დატაკებოდენ; პირიქით, რაც უფრო აშკარათ სჩანს მოსკოვის ხელი, მით უფრო გრძნობენ ისინი ერთათ მოქმედების საჭიროებას, რათა უკეთ შეებრძოლონ ანარქიას.

### ალბანია.

ტირანას ხელშეკრულებამ, რომლითაც იტალია ავრცელებს ალბანიაზე თავის პროტექტორატს, თავის ნაყოფი გამოიღო. დიდი მეცადინეობა დასჭირდათ დიდ სახელმწიფოებს, რომ იტალია და იუგოსლავია არ შეტაკებოდენ ერთმანეთს. სწორედ იუგოსლავიისათვის მიუღებელი იყო იტალიის გაბატონება ალბაიიაზე: ეს მოასწავებს მისთვის ადრიატიკის ჩაკეტვას და ბალკანეთში მტკიცე პოზიციის დაკარგვას. ერთად ერთი ნორმალური გამოსავალი უნდა ყოფილიყო ერთა ლიგის ჩარევა, მაგრამ ეს არ მოისურვა იტალიამ. უკანასკნელი ემყარებოდა დიდ სახელმწიფოთა ოქმს, რომლის ძალით იტალიას მიენდო ალბანიის დაცვა გარეშე მტრისაგან. მაგრამ ალბანიას გარეშე მტერი კი არ აწუხებს, არამედ შინაური! რაც გამოცხადდა მისი დამოუკიდებლობა, წელიწადი არ გაივლის ისე, რომ იქ გადატრიალება არ მოხდეს. კულტურულად უკან ჩამორჩენილი, დაყოფილი სხვა და სხვა, ერთი მეორეზეგადამტერებულ, სარწმუნოებრივ ჯგუფებად (კათოლიკენი, მართლმადიდებელნი, მაჰმადიანები) ალბანია წარმოადგენს კიდევ ფეოდალურ სახის ქრონიკულ ბრძოლის ასპარეზს. რასაკვირველია, გარეშე ძალებიც სარგებლობენ ძმათა შუღლით, ერთი ამ ჯგუფს ეხმარება, მეორე იმ ჯგუფს, და გამარჯვებული მათ შორის იძულებულია ქვეყნის ხარჯზე დააკმაყოფილოს გარეშე მფარველი. ალბანიას ბედი სწყალობს, რომ ევროპაშია, თორემ აქამდის ჩაიძირებოდა მისი დამოუკიდებლობა: ერთ მილიონზე ცოტა ნაკლები ერი დაუსჯელათ ვერ აიტანს ამდენ კატასტროფას. მაგრამ, როგორც ვთქვით, მას გეოგრაფია შველის, ერთა ლიგის წევრიცაა და ასე ადვილათ არ დაანებებენ უფრო ძლიერ მეზობლებს.

## არჩევნები ავსტრიაში.

როცა ეს სტრიქონები გამოქვეყნდება, ალბად უკვე გამორკვეული იქნება ავსტრიის არჩევნების შედეგები. დღეს კი თავსამტრევი არის საკითხი, თუ ვის დარჩება გამარჯვება. ეხლანდელ არჩევნებს მნიშვნელობა ემატება მით უმეტეს, რომ მან ავსტრიას უნდა მიუჩინოს არა მარტო ახალი საკანონმდებლო ორგანო, არამედ სატახტო ქალაქის ახალი თვითმართველობაც; ხოლო რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ავსტრიის ცხოვრებაში ვენას, ეს ადვილი მისახვედრია, თუ გავიხსენებთ, რომ ჰაბსბურგთა დინასტიის ოდესღაც მედიდურსა და მრისხანე იმპერიის ნანგრევებზე დაშთენილ პაწაწინა რესპუბლიკის მცხოვრებთა მესამედი ნაწილი ამ ქალაქშია თავმოყრილი.

ვენა! კოპწია და ულამაზესი! თავისი «შიკით» და ბანოვანთა სიკეკლუცით! ევროპის ზედაპირი ცხოვრების ტონის მიმცემი, პარიზის მიმყოლი, ზოგჯერ კი მისი მეტოქე და გამსწრობიც... დღეს ჰიპერტროფიად ქცეული დაუძლურებულ სახელმწიფოს სხეულზე, ვენა მაინც იხტიბარს არ იტეხს, ძველებურად იჭიმება და ხმაურობს...

ვის მოუვიდოდა ოდესმე ჭკუაში, რომ «Schonheit»-ის ქალაქს ომისა და და ავსტრო-უნგრეთის დანაწილების შემდგომ სათავეში ამოუდგებოდა სოციალ-დემოკრატიული თვითმართველობა, ანუ, როგორც აქ უწოდებენ, «Die rote Gemeinde». შეიძლება ითქვას, რომ ავსტრიას ორი მთავრობა ჰყავს, ერი საყოველთაო ბუნდეს კანცლერი ზაიპელის მეთაურობით და მეორე ვენისა—მისი თვითმართველობის სახით—ოტტო ბაუერის წინამძღოლობით, თუმცა პირადათ მას არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ აქვს, გარდა დეპუტატობისა.

ამ ორ ხელისუფლებას შორის მუდმივი და შეუნელებელი ქიშპობა და ბრძოლა სწარმოებს: ცენტრალი მთავრობა და მთელი ადგილობრივი თვითმართველობანი თვისი უმეტესობით «ქრისტიანული პარტიის» იდეების გამომსახველი არიან, და ამ გეზითვე მიმდინარეობს საერთოდ ავსტრიის პოლიტიკურ-ეკონომიური ვითარება. ვენას კი სხვა გზა აქვს არჩეული...

იმდენათ სასტიკია განწყობილება სახელმწიფოს ამ ერთეულთა შორის, რომ ამ ჟამად არჩევნების მთელი ინტერესი და ინტესივობა მხოლოდ ვენის ირგვლივ ტრიალებს. ვიღას ახსოვს პარლამენტი, რომლის ძალთა განწყობილების მნიშვნელოვან გადახალისებას არც მოელიან და მასში გაბატონებული ქრისტიანული პარტია არც შიშობს მანდატების დაკარგვისათვის?! სულ სხვაა ვენა!

სოციალდემოკრატიული პარტია არჩევნების გამოცხადების დღიდანვე დიდის ალიაქოთითა და პომპით შეუდგა მუშაობას. მთელი ქალაქი აჭრელებულია მისი პლაკატებითა და საარჩევნო მოწოდებებით, და სააგიტაციო კრებები ხომ უთვალავია. სკეპტიკები იძახიან, რომ პარტიის მეთაურები მეტად შიშობენ და ამიტომ მთელი ძალების დარაზმვით ლამობენ მდგომარეობის შენარჩუნებას. უმთავრესი ლოზუნგი სოციალდემოკრატიული პარტიისა არის კანცლერი ზაიპელისა და ქრისტიანული პარტიის დისკრეტიზაცია. ცნობილია, რომ ავსტრიაში პოლიტიკური ბრძოლა სწარმოებს უმეტესად სოციალდემოკრატიულსა და ქრისტიანულ პარტიას შორის. სხვა პარტიებსა და ჯგუფებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ. სოციალდემოკრატების გაბატონებას ვენის თვითმართველობაში ქრისტიანული პარტიამ მოაწყვ არასოციალისტური ნაწილის აბსენტეიზმს წინა—1923 წლის—არჩევნებში. იმ დროს, როდესაც საარჩევნო ყუთებთან, სწეროდა «Reichspost»-ი სოციალდემოკრატებმა მოიყვანეს 90 პროცენტზე მეტი თავისი ამომრჩევლებისა, არასოციალისტურმა ელემენტმა სრული გულგრილობა გამოიჩინა და არც ყუთებთან მოსვლით შეიწუხა თავი. პარტიამ გადმოისროლა ლოზუნგი საერთო ბრძოლისა მარქსიზმის წინაალმდეგ და სათანადო პრაქტიკულ ზომებსაც მაჰმირთავს. მისი თაოსნობით დაარსდა ერთიანი ფრონტი «წითელი საფრთხის» დასაძლევად და საკანდიდატო ერთიანი სიაც გამოაქვეყნა. ამ ბლოკში შედიან კანდიდატები, გარდა უკვე დასახელებული ქრისტიანული პარტიისა, დიდი გერმანული პარტიისა და ასე ვთქვათ წვრილი ბურჟუაზიული პარტიისა.

ახლად შედგენილი «ერთიანი სია» აცხადებს, რომ მისი მიზანია სოციალდემოკრატების მიერ დაქვეითებული საქალაქო მეურნეობის აღდგენა და ბრძოლა ბოლშევიკური სოციალური მეთოდების წინაალმდეგ. ეს უკანასკნელი მიმატება ნუ გაგაოცებთ: ავსტრიის სოციალდემოკრატიას დიდი მეგობრული ურთიერთობა აქვს მოსკოვის ოხლოკრატიასთან!

ეს პარტია თავისი საერთო პოლიტიკით სრულებით განსხვავდება, მაგალითად, გერმანიის სოციალდემოკრატიისაგან, რომელიც, როგორც ცნობილია, აშკარად ებრძვის ბოლშევიკურ სიმყრალეს. საკმარისია შეადაროთ ცენტრალური ორგანოები ამ ორი სახელმწიფო პარტიებისა—ბერლინის «ფორვერტს»-ი და ვენის «არბაიტერ ცაიტუნგი», რომ დარწმუნდეთ ავსტრიის სოციალდემოკრატიის მოსკოვისაკენ დაქანებაში! მოიგონეთ თუნდაც ამ პარტიის ლიდერის ოტტო ბაუერის ყოფაქცევა მარსელის სოციალისტურ კონგრესზე...

უჩინარი და უმნიშვნელო დღევანდელს საერთაშორისო ურთიერთობაში, ახალი ავსტრია თავის შიგნით სდუღს და ვარვარებს. არა მგონია, ბევრგან იყოს ისე გამწვავებული კლასობრივი ანტაგონიზმი, როგორც აქ. ამას ხელს უწყობს ფართო მასების უმუშევრობაც. პარტიები ერთმანეთს აბრალებენ ცხოვრების გამოუსწორებლობას. ურთიერ წინაალმდეგ გაანჩხლებული ბრძოლით ესენი უფრო ასუსტებენ ისედაც დასნეულებულ ქვეყანას...

შორს მჭვრეტნი კი გრძნობენ და ხედავენ, რომ მიმჭკნარი ვითარება, რაიც ავსტრო-უნგრეთის მონარქიას ომის კატასროფამ მიუსაჯა, ვერ გამოსწორდება, რა გინდ რეჟიმიც უნდა დამყარდეს: «პროკრუსტის სარეცელში» ჩამწყვდეულ სახელმწიფო სხეულს არ გააჩნია ობიექტიური საშუალებანი თვის ძალთა წესიერად განსავითარებლად.

ყველასათვის ცხადია, რომ ასეთს მდგომარეობაში ვერ იარსებებს სახელმწიფო, მაგრამ სად არის გამოსავალი?! ომი? მაგრამ ვის წინაალმდეგ?.. დღეს ყველაზე არაპოპულიარი მცნება ავსტრიაში არის სიტყვა ომი! მაგრამ ავსტრიას არც სიკვდილი სურს და ამიტომაც ის გაფაციცებით უთვალთვალებს საერთაშორისო კომბინაციათა დახლართვას, რათა თავისი გადარჩენა ჰპოვოს მოძმე გერმანიასთან კავშირში.

ვენა. რ. ინვილდ.

## საყურადღებოთ.

ემიგრაციაში გავრცელებული ხმა, ვითომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს მონაწილეობა მიეღოთ ეგრეთ წოდებულ აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტთა ლიგაში, მოკლებულია ყოველ საფუძველს. საქართველოს სოც.-დემ. ბიუროს არავითარი კავშირი არა აქვს ამ საქმესთან და არც სხვა ვისმესთვის მიუნდვია იგი. უსაფუძვლოა აგრეთვე ის ხმა, ვითომ გრ. აიოლოს ხელი მოეწეროს ხსენებულ ლიგის პლათფორმაზედ.

## ქართველები საფრანგეთში.

კვირას, 3 აპრილს, ბ-ნ ვახტანგ ღამბაშიძის თავმჯდომარეობით შესდგა პარიზის ქართველთა კოლონიის საზოგადო კრება. კრებამ მწუხარებით მიიღო სიმგლოვიარო ცნობა დამსახურებულ პროფ. მელიქიშვილის გარდაცვალების შესახებ. კრებაზე განხილული იქმნა კოლონიის საორგანიზაციო საკითხები. კრების დასასრულს ჩვენს კოლონიას ესტუმრა შოთა რუსთაველის რუსულზე მთარგმნელი, ცნობილი რუსი-პოეტი ბალმონტი, რომელსაც კრების სახელით მიესალმა ბ-ნი აბდუშელი. ბალმონტის საპასუხო სიტყვა იყო მეტათ მგრძნობიარე და ლამაზი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

### I.

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით რა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პარიზის კომიტეტისაგან მიღებულ რეზოლიუციას 3 აპრილს 1927 წ. სხდომაზედ, უმორჩილესადა გთხოვთ მოათავსოთ იგი თქვენი პატივცემული ორგანოს უახლოეს ნომერში:

«ბ-ნნი დიმიტრი სინჯიკაშვილი და გრიგოლ გეგელია, დისციპლინის დარღვევისა და პარტიის წინაალმდეგ მოქმედებისათვის დათხოვნილნი არიან ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან. 3 აპრილი 1927 წ. ქ. პარიზი. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პარიზის კომიტეტი».

საქართველოს გაერთიანებულ ეროვნ.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ცენტრალურ ბიუროს დავალებით—

მდივანი: რ. გაბაშვილი.

7 აპრილი 1927 წ.
პარიზი.

### II.

ბატონო რედაქტორო!

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებას პრაგაში, რომელმაც შემოსწირა ჩვენ წიგნთსაცავ-სამკითხველოს 43 წიგნი (მათ შორის პერიოდული გამოცემებიც) სხვადასხვა ენებზე.

განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნით ბ. ვანო ქარცივაძეს, რომელიც დაუღალავ ენერგიას იჩენს ჩვენი ბიბლიოთეკისათვის წიგნების მოგროვებაში.

გამგეობა ქართველი ასოციაციის ოდენკურში.

*Rédaction et Administration* .
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*

Le Gérant : LARGILIÈRE.